საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 26 დეკემბერი. 2019 წ. №257 (8923) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ხელოვნურად აჟიტირებული „ლელო“ და „გასაქცევად“ გამზადებული „ოცნება“

არ ვიცი, ვის ელანდება „ლელო“ „ოცნების“ საპირწონედ, მაგრამ, თავად „ლელო“ „ნაცმოძრაობასთან“ და მის ნარჩენებთან მწყრალად რომ არ არის, ეს აქედანვეც ჩანს...

იხ. 8 გვ.

სამართლიანი მოთხოვნა

კულტურის სამინისტრო დამოუკიდებელ უწყებად უნდა არსებობდეს!

საქართველოში მოღვაწე ხელოვანები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები წერილობით მიმართავენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს, რათა მიიღონ გადაწყვეტილება კულტურის სფეროს ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადებისა და კულტურის სამინისტროს დამოუკიდებელ უწყებად გამოყოფის თაობაზე.

განცხადებაში, რომელსაც ძალიან ბევრი ცნობილი მოღვაწე აწერს ხელს, ნათქვამია, რომ მსოფლიოსთვის საქართველო რეალურად საინტერესო და მიმზიდველი არის მისი უძველესი და თვითმყოფადი კულტურით.

„სწორედ ქართული კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა არის ის მთავარი ფაქტორი, რაც ასე იზიდავს ტურისტებს საქართველოში. სწორედ კულტურა არის ის ძირითადი სფერო, რითაც ასე ამაყები ვართ საერთაშორისო ასპარეზზე კინოსა და თეატრალურ ფესტივალებზე, ბიენალეებზე, არტ-ექსპოებზე, კონკურსებსა და სხვა მრავალ უმაღლესი რანგის ღონისძიებაზე.

ისეთი სფეროების ერთ უწყებად გაერთიანებამ, როგორიცაა განათლება და მეცნიერება, კულტურა და სპორტი მნიშვნელოვნად უკან დახია საქართველოში კულტურის განვითარების შესაძლებლობა, რადგან კულტურის სფეროში შემავალ ყველა დარგს თავის მხრივ მრავალი ინსტიტუციური, ფინანსური და იურიდიული პრობლემა აქვს მოსაწესრიგებელი“.

განცხადებაში ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ „ქართული სახელმწიფოს დღევანდელი მძიმე მდგომარეობა გარკვეულწილად განპირობებულია საზოგადოებაში კულტურის დეფიციტით, საზოგადოება განიცდის სულიერ და კულტურულ კრიზისს, მის დაძლევაში კი უმნიშვნელოვანესი წვლილი უნდა შეიტანოს კულტურამ“.

მიმართვას ხელს აწერენ: **რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, მარინა ჯანაშია, ელდარ შენგელაია, ნიკოლოზ რაჭველი, ლანა ღოღობერიძე, კახი კავსაძე, ლია სტურუა, დათო ევგენიძე, ნანა ჯანელიძე, გოგი ალექსი-მესხიშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, თემო გოცაძე, ვალერი ასათიანი, გია ჯაფარიძე, ძეთი დოლიძე, გიორგი კალანდია, ნინო სუხიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ნიკუშა შენგელაია, მერაბ კოკოჩაშვილი, მირიან შველიძე, კოტე ფურცელაძე, ნანა ფაჩუაშვილი, ლელა ალიბეგაშვილი, პაატა გულიაშვილი, დავით დოიაშვილი, ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე, მარინა კახიანი, ჟანრი ლოლაშვილი, თათული დოლიძე, მანანა გამცემლიძე, შალვა მატუაშვილი, ნანი ჩიქვინიძე, ეთერ თათარაიძე, მანანა მენაბდე, ალეკო შუღლაძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი, ავთანდილ ვარსიმაშვილი, ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი, თამარ ლორთქიფანიძე, მანანა ანთაძე, ნოდარ ჟვანია** და სხვები.

ეკა ბესელიას მალე დაიჭერენ?

ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ექსპერტი **გია აბაშიძე** ოპოზიციონერი დეპუტატის, ყოფილი „ოცნებელის“ ეკა ბესელიას დაკავებას აანონსებს. აბაშიძის თქმით, აქვს ინფორმაცია, რომ პროკურატურამ უკვე დაასრულა ბესელიას კორუფციული საქმეების მოკვლევა და გამოძიება მალე ოფიციალურად დაიწყება.

აბაშიძე ბესელიას შესახებ ამ ინფორმაციას სოციალურ ქსელში პირად გვერდზე ავრცელებს. „2020NEWS“ სტატუსს უცვლელად გთავაზობთ:

„ოქუაშვილი-ბესელია-თოდუას „ტრიუმვირატზე“.

ეს კავშირი 20 წელს ითვლის.

ჩემ ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციის თანახმად, პროკურატურამ უკვე დაასრულა ეკა ბესელიას კორუფციული საქმეების მოკვლევა და მალე უკვე ოფიციალურად დაიწყება გამოძიება. ამას უკავშირდება სამეგრელოს რაიონში ბოლო პერიოდში კორუფციის ბრალდებით დაკავებული პირები ირიბად თუ პირდაპირ.

გადავხედოთ თემასთან დაკავშირებული ამბების მოკლე ქრონოლოგიას:

გახსოვთ, 2 იანვარს „ფეისბუქიდან“ გაუწყეთ, რომ მმართველ პარტიაში „ნაღმზე აფეთქდებოდა“ ეკა ბესელია და გაირიცხებოდა უმრავლესობიდან. ვწერდი საკმაოდ ბანალურ „ნაღმზე“, კორუფციის თემაზე?

ამონარიდი იმ „პოსტიდან“: მოგეხსენებათ, რომ წლებია არსებობდა მოარული ხმები იმის შესახებ, რომ ქალბატონი ბესელია ჯერ კიდევ ლადო ჭანტურიას თავმჯდომარეობის პერიოდიდან, გარკვეულწილად აგვარებდა რაღაც საქმეებს უზენაეს სასამართლოში. სარწმუნო წყარომ მაცნობა, რომ ბესელიამ კომპრომატების „დიდოსტატის“ ზაზა ოქუაშვილისგან აიღო ქრთამი „ომეგას“ მრავალმილიონიანი დავის მოსაგვარებლად. თუმცა, ეს დავა ვერ მოგვარდა და ბესელიას მოუწია ქრთამის ნაწილის დაბრუნება. ამ ყველაფრის ჩანაწერი კი, ოქუაშვილს გაუკეთებია და ახალი გასროლით ემუქრება „ოცნებას“. სროლა კი დასწრებაზეა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც გვარამიამ ორაზროვნად დააანონსა:

Nika Gvaramia, December 27, 2018

თუ ბიძინას მტრისთვის სასამართლოში საქმის დასალაგებლად ფულს იღებ, მერე მეორე კლანთან წააგებ, საქმეს ვერ მოაგვარებ და ფული უკან დასაბრუნებელი გაგიხდება და ამას ბიძინა გაგიგებს, კომიტეტის თავმჯდომარეობას უკან მოგატოვებინებსო.

21 იანვარს, სკანდალური თემა კიდევ უფრო განავრცო სააგენტო exclusivenews.ge-მ, რომელმაც გაზეთ „ვერსიაზე“ დაყრდნობით გვაუწყა: „ყველაზე პიკანტური დეტალი ამ საქმეში ის გახლავთ, რომ ოქუაშვილი ამასაც არ დასჯერდა და კომპრომატის ყიდვა დაახლოებული პირის მეშვეობით ბიძინა ივანიშვილს შესთავაზა. ბიძინამ კი ერთი ცენტიც არ გადაიხადა, მიუხედავად იმისა, რომ ოქუაშვილმა სკანდალური ვიდეოჩანაწერი ივანიშვილის სანდო პირს აჩვენა და თან ავთენტურობის დამადასტურებელი ორი სხვადასხვა ბრიტანული საექსპერტო ბიუროს დასკვნაც დაურთო.

იხ. 8 გვ.

ზუგდიდს განახლებული საჭადრაკო სკოლა აქვს!

ზუგდიდის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, გახსნის ცერემონიალს ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი შენგელია, ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი მერაბ ქვარაია, მოჭადრაკეები, აფხაზეთის მთავრობის წევრები და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც ნონა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, ზუგდიდი ნამდვილად იმსახურებდა ამ პროექტის განხორციელებას: „დარწმუნებული ვარ, ის ტრადიციები რაც ამ კუთხეს გააჩნია, გაგრძელდება და უნიჭიერეს ახალგაზრდებს ვიხილავთ ამ სკოლიდან“.

სიყვარულზე სიძულვილით არ უნდა ვუპასუხოთ!

გუშინ **კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების დღე იყო. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ამ თარიღისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ლიტურგია აღევლინა. წირვის შემდეგ პატრიარქმა მრევლს მიმართა.**

ილიას მეორის თქმით, ეს ისტორიული დღეა და მრევლს სიყვარულისთვის მადლობა გადაუხადა.

„ეს არის ღვთის დიდი წყალობა, ღვთის მადლი, რომელიც მოგვფინა ჩვენ ყველას. მე მადლობელი ვარ ღვთისა და ჩვენი ერისა, რომ მომეცა საშუალება, შემესრულებინა ეს საქმე. ჩვენი ერი ღვთისაგან დაჯილდოებულია სიყვარულით და ამ სიყვარულს უნდა გავუფრთხილდეთ. სიყვარულზე სიძულვილით არ უნდა ვუპასუხოთ. მადლობელი ვარ თქვენი სიყვარულისა“, — განაცხადა პატრიარქმა.

ილია მეორე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად 44 წლის ასაკში 1977 წელს გამართულ მე-12 საეკლესიო კრებაზე აირჩიეს. მისი ინტრონიზაცია ამავე წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოველში შედგა.

ბიძინა ივანიშვილი: ბედნიერია ჩვენი ქვეყანა, რომ ასეთი სულიერი მამა ჰყავს

უდიდესია **ჩვენი დედაეკლესიის წვლილი და მისი უწმინდესობის, პატრიარქის წვლილი იმ დაბნეულობის დროს, როდესაც აბსოლუტურად საჭიროებდა ერი სწორებას,** — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში განაცხადა, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრებიდან 42 წლისთავთან დაკავშირებული საზეიმო წირვა ჩატარდა.

„მოგესალმებით ყველას და გილოცავთ დღევანდელ დღეს. ვულოცავ ჩვენს საყვარელ პატრიარქს, მის უწმინდესობას აღსაყდრებიდან 42-ე წლისთავს. მოგეხსენებათ, როგორი რთული იყო ეს 42 წელი, როგორი განსაცდელი ჰქონდა ჩვენს ქვეყანას, რამდენიმე წლის წინ თუ გნებავთ. 42 წლის განმავლობაში უამრავი გამოწვევა და განსაცდელი გადაიტანა ჩვენმა ქვეყანამ. უდიდესია ჩვენი დედაეკლესიის წვლილი და მისი უწმინდესობის, პატრიარქის წვლილი იმ დაბნეულობის დროს, როდესაც აბსოლუტურად საჭიროებდა ერი სწორებას. ძალიან ხშირად ყველაზე დიდი საყრდენი და სწორებაც სწორედ ეკლესია და მისი უწმინდესობა გახლდათ. დღესაც, მოგეხსენებათ, რომ რთულია ჩვენი ყოფითი თუ სულიერი ცხოვრება და ამას ყველაფერს სჭირდება ძალიან ორგანიზებული და გააზრებული მართვა. როგორც სახელმწიფო, ისე ეკლესია თავის ფუნქციებს ძალიან გააზრებულად და მომართულად ასრულებენ, რათა ჩვენ ყველა გამოწვევა გადავლახოთ და ჩვენი ქვეყანა გამარჯვებისკენ წავიყვანოთ. ბედნიერია ჩვენი ქვეყანა, რომ ასეთი სულიერი მამა ჰყავს. ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ პატრიარქს“...

პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ მორწმუნეებს ქრისტეს შობის დღესასწაული მიულოცეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ყველას, ვინც ქრისტეშობას 25 დეკემბერს აღნიშნავს, დღესასწაულს ულოცავს.

„ვულოცავ ყველას, ვინც 25 დეკემბერს ზეიმობს ქრისტეშობის დღესასწაულს. სიახლის, სიკეთისა და სიყვარულის დღესასწაული მშვიდობის, ბედნიერების და კეთილდღეობის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის“, — აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის მილოცვაში. მორწმუნეებს მიულოცა აგრეთვე პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემაც.

„ქრისტიანული სამყაროს ნაწილი 25 დეკემბერს შობის დღესასწაულს აღნიშნავს. საქართველოს პარლამენტის სახელით, ჩვენს თანამემამულეებსა და ყველას, ვინც დღეს შობას სიხარულით ხვდება, ვულოცავ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ მშვიდობას, სიკეთეს და ბედნიერებას!“

ოპოზიციას პოლიტიკური დევნის „მსხვერპლთა“ სია ჰქონია!

ოპოზიციის „პოლიტიკური დევნის საკითხთა შემსწავლელი ინტერპარტიული კომისიის“ წევრების განცხადებით, პოლიტიკური დევნის მსხვერპლთა სია 8 იანვარს გამოქვეყნდება. ეს გადაწყვეტილება „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისში გამართული სხდომის შემდეგ გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა მიიღეს.

მათი განცხადებით, დღევანდელ შეხვედრაზე შეიმუშავეს ევროსტანდარტების შესაბამისი კრიტერიუმები, რომლის ფარგლებშიც სია დაკომპლექტდება. მათი განცხადებით, გარდა მსხვერპლებისა, ე.წ. შემსრულებლების და გადაწყვეტილებების მიმღებთა სიის ფორმირებაც მოხდება, რომელიც საბოლოოდ საერთაშორისო პარტნიორებს გაეგზავნებათ და მათგან სანქციების დაწესებას მოითხოვენ.

გია ვოლსკი: ეს სია არის სპეკულაცია

საქართველოს **პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის განცხადებით, პოლიტპატიმრების თაობაზე ოპოზიციის მიერ მომზადებული სია არის სპეკულაცია და სამართლებრივად გაუმართავი.**

როგორც ჟურნალისტებს გია ვოლსკიმ განუცხადა, როცა ოპოზიცია ასეთი სიის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაგზავნას აპირებს, ამას სერიოზული დასაბუთება უნდა მოჰყვებოდეს.

„არ მგონია, დასაბუთება ჰქონდეთ, რადგან ტელევიზიით ჩანაწერია, როგორ იჭრებოდა ხალხი პარლამენტში სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად, ან როგორ აკეთებდნენ სახელმწიფო სტრუქტურების ბლოკირებას, რაც კანონით აკრძალულია. არ მგონია, ეს დოკუმენტი სამართლებრივად გამართული იყოს. იმათ არანაირი პერსპექტივა არ გააჩნიათ და ფიქრობენ, რომ ამით როგორმე საკუთარ პოლიტიკურ უუნარობას დააბალანსებენ“, — განაცხადა ვოლსკიმ.

სალომე ზურაბიშვილი: დიალოგი და მოლაპარაკებები არ ნიშნავს დათმობას!

ეძიმ **ვაჟა გაფრინდაშვილის საქმის ირგვლივ კარგად ვხედავთ, რამდენად არაფრისმომცემია ტექნიკური ფორმატები,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა საქართველოს პირველი არხის გადაცემა „თავისუფალ ხედვაში“ ჟენევის ფორმატზე, ასევე რუსეთთან ურთიერთობის საკითხებზე საუბრისას.

გადაცემის წამყვანმა **გიორგი გვიმრაძემ** პრეზიდენტს რუსეთთან ურთიერთობებზე ჰკითხა.

„მინდა, გავიხსენო თქვენი განცხადება, როდესაც საუბრობდით, რომ საჭიროა პოლიტიკურ რეგისტრში გადავიდეს ურთიერთობა რუსეთთან, რადგან ტექნიკურ დონეზე ჟენევის მოლაპარაკებებს გულისხმობდით ამ დროს, ტექნიკურ დონეზე ეს პრობლემები აღარ გვარდება, რომელიც ჩვენ წინაშეა, ამ რეალობაში კარგად რომ ავხსნათ, რას გულისხმობს ურთიერთობების პოლიტიკური რეგისტრი“, — მიმართა პრეზიდენტს გადაცემის წამყვანმა.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, საქართველო ტექნიკურ ფორმატებშია „გაჩხერილი“. ეს პროცესი გრძელდება, თუმცა არაფერი იცვლება. მისი თქმით, ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი თავიდან პოლიტიკური იყო.

„ახლა ძალიან კარგად ვხედავთ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის საქმის ირგვლივ, თუ რამდენად არაფრისმომცემია ეს ტექნიკური ფორმატები, შედეგიანი არ არის, რადგან ნათელია, რომ ბიუროკრატები ამ შემთხვევაში ვერ იღებენ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რასაც ველოდებით. ჩვენ სადღაც ვართ გაჩხერილი ამ ტექნიკურ ფორმატებში, რომელსაც ვაგრძელებთ, მაგრამ არაფერი იცვლება. პირველივე დღიდან მოვითხოვე, ვიმუშაოთ იმისთვის, რომ პოლიტიკური მასშტაბი მივცეთ, დავუბრუნოთ, რადგან რეალურად, ჟენევა დასაწყისში იყო პოლიტიკურ დონეზე და შემდეგ ჩამოვიდა ამ ტექნიკურ დონეზე. მეორეა, პარტნიორებთან, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ვიმუშაოთ იმაზე, რომ ნახსენები ვიყოთ ყველა ეტაპზე, როცა საუბარია რუსეთის მხრიდან სხვადასხვა კონფლიქტზე. მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტს, როცა მითხრა, რომ აპირებდა ნორმანდიის შეხვედრებს, არაერთხელ გავახსენე, რომ საჭიროა იქ საქართველოს საკითხი და ჩვენი კონფლიქტი, ოკუპირებული ტერიტორიები იყოს ნახსენები. სხვათა შორის, პირველად ჩვენს ორმხრივ ფორმატში, „ამილახვარის დიალოგის“ ფორმატში, საფრანგეთმა ძალიან აღიქვა ეს საკითხი და ხაზი გაუსვა სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებს იმ ტერმინებით, რომელსაც ადრე არ იყო ჩვეული“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

ამასთან, პრეზიდენტის თქმით, **მსოფლიოში ყველაფერი იცვლება და ყველა ყველასთან საუბრობს. საქართველო რეალურად არ სარგებლობს ყველა დიპლომატიური რესურსით, უკრაინა კი მზად არის, გამოიყენოს ყველა არსებული საშუალება,** — აცხადებს პრეზიდენტი.

„ასევე ვუყურებთ, როგორ იცვლება მსოფლიო. ყველა ყველასთან დიალოგშია, ჩვენ კი ერთგვარ იზოლაციაში ვართ, უარი ვთქვით და გასაგებია, რომ არ ვაპირებთ, ძალის გამოყენებით დავიბრუნოთ ეს ტერიტორიები, მაგრამ ამავე დროს, რეალურად არ ვსარგებლობთ ჩვენი ყველა დიპლომატიური ინსტრუმენტით. ამ დროს უკრაინა მზად არის, გამოიყენოს ყველა არსებული საშუალება, რაც არსებობს“, — აცხადებს პრეზიდენტი.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, საქართველომ ან ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს, ან იყოს ისე, როგორც არის.

„ჩვენ ან უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება, ან უნდა ვიყოთ, როგორც დღეს ვართ და მაშინ ისმის კითხვა — ნუთუ ხელისუფლებას არ შეუძლია გადაწყვიტოს ეს საკითხი? მე ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მხოლოდ ორი რამ ვიცი — ომი ან დიპლომატია, რათა საკითხი გადაწყვიტო. მესამე გზა არავის გამოუგონია. ჩვენ მივდივართ მესამე გზით. ჩვენს მეგობრებს, ვთხოვთ, გამოიყენონ თავიანთი დიპლომატიური შესაძლებლობები ჩვენ სასარგებლოდ“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოსთვისაც კარგი იქნებოდა ნორმანდიულის ტიპის ფორმატი.

„მაგალითად, მე ვიტყოდი, რომ, თუ საშუალება იქნება, იყოს ნორმანდიის ტიპის ფორმატი, სადაც საქართველო თავის პარტნიორებთან ერთად იქნება, მარტო მოლაპარაკებების ძალა ჩვენ არ გაგვაჩნია. მოლაპარაკება შედეგიანი რომ იყოს, არ უნდა აღმოვჩნდეთ არათანასწორ მდგომარეობაში, გვჭირდება ეს მხარდაჭერა! რატომ არის, რომ უკრაინა შედის ამ ფორმატში და არა პირდაპირ ურთიერთობაში? შეიძლება, მერე დრო დადგეს, როცა პირდაპირი ურთიერთობებიც საჭირო იქნება, მაგრამ ჩვენ უნდა დავიწყოთ და ამ დასაწყისში თუ ეს საშუალება გვექნა, კარგი იქნება. ჩვენ კიდევ ერთხელ ვეძებოთ ყველა შესაძლებლობა, რათა ვითარება გადავწყვიტოთ“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

ამასთან, როგორც პრეზიდენტი განმარტავს, დიალოგი და მოლაპარაკებები დათმობას არ ნიშნავს.

„მინდა, კიდევ ერთ რამეს გავუსვა ხაზი, რაც ამ ქვეყანაში ზოგჯერ კარგად არ ისმის: არც დიალოგი და არც მოლაპარაკებები არ ნიშნავს დათმობას. ხშირად ვფიქრობთ, რომ ეს მაინცდამაინც რაღაც კომპრომისზე წასვლას ნიშნავს“.

ამასთან, პრეზიდენტის თქმით, თავისთავად საჭიროა ჟენევის, აბაშიძე-კარასინისა და სხვა ფორმატები, რადგან სხვა არ არსებობს.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო...

ანუ ამბავი 1572 წლის „ბართლომეს ღამის“ შემდეგ 2019 წლის 20 ივნისის „გავრილოვის ღამისა“

მაშინ, იმ შორეულ წარსულში, თავში ღამეჩამდგარი კათოლიკეები, რომლებიც თავიანთ მეტოქეთა წინააღმდეგ პროვოკაციისთვის სულ მიზეზს რასმე ეძებდნენ. თუმცა არც საბაბსა თუ საბაბუმზე ამბობდნენ უარს, ხელიდან რას გაუშვებდნენ „ღამეს ბართლომესას“ და ჰუგონეტებისთვის იმ საშინელ ღამეს შავი დღე არ დაეყენებინათ.

ახლა უკვე სხვა გაგებით, ანუ სათავისოდ, ძალისძალად შეკოწიწებულმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ არჩევნებამდე ძალადობრივად ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად გაგიჟებულ ნაციონალთა თავში დგომით ფარ-დარაკად აიფარა და საზოგადო სახელად აქცია „გავრილოვის ღამე“ და 20 ივნისის შემდეგ ენაზე დაიკერა და ცილისმწამებლურად ცხვირში თითის ტაკებით ეჯუფთებიან „ოცნებას“...

„ოცნებაც“ ხმალკისერკიდებულივით, ანუ დამარცხებულივით, უიმედოდ ხელჩაქნეული განაგრძობს თანაარსებობას, ესე იგი, ვითომ კეთილმოსურნე გადამთიელთაგან თავს მოხვეულ ეგრეთ წოდებულ კოჰაბიტაციას.

ერთი სიტყვით, ოცნებელნი ეგრევე შეეგუვნენ „გავრილოვის ღამეში“ ცხოვრებას და პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ თავისი ჭკუით ჭკუიდან გადასულ პროვოკატორ ნაციონალთა დასაშოშმინებლად უმალ დატოვა თანამდებობა, რაც თავიანთ პირველ გამარჯვებად გაასაღა საეჭვოდ შეკოწიწებულმა ოპოზიციამ, დაუყოვნებლივ შეტევაზე გადავიდა პარლამენტში შესაჭრელად და „ოცნების“ ხელისუფლების სასწრაფოდ დასამთავრებლად... ზუსტად ისე მოხდა, ქურდს ბნელი ღამე რომ უნდოდა თავისი ავი და ბნელი საქმეების ხორცშესასხმელად.

არადა, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა სინამდვილეში, ნუთუ ეს ვიღაც რუსი გავრილოვი მართლა მხოლოდ იმ ერთადერთი მიზნით ჩამოფრინდა მოსკოვიდან თბილისში, რომ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასვენებულიყო იმისდა ნიშნად, რომ საქართველო ისევ რუსეთის იმპერიის გუბერნიაო, რასაც ნაციონალთა გაუთავებელი ავად აყეფება მოჰყვა... პროვოკატორებმა თავიანთ მიზანს მიაღწიეს — მიუხედავად არაერთსაათიანი გაფრთხილებისა, ნაციონალთა ფეხის ხმას აყოლილ ერთ ახალგაზრდა „გამვლელ“ გოგონას რეზინის ტყვიამ თვალი გამოსთხარა, რამდენიმე კი პოლიციასთან თავგანწირულ შეხლა-შემოხლაში თვითონაც დაზიანდა და პოლიციელებიც დააზიანა. „ოცნება“ მავნე რუსული პოლიტიკის შენიღბულ გამტარებლად „ამხილეს“... და, დიდად სამწუხაროდ, ბევრი გულუბრყვილო თუ მიამიტი დაარწმუნეს და კარგა გვარიანადაც დააჯერეს.

აგერ, უკვე ექვსი თვე მიიწურა და თვითონ „ოცნებამ“ წესიერად ვერ აუხსნა დაბნეულ ხალხს, სინამდვილეში რა მოხდა 2019 წლის 20 ივნისს და მას მერე, როგორც უკვე ვთქვით, ქვეყნის დანგრევის მსურველ ოპოზიციონერთა მხრიდან სულ წამოძახებასა და ცხვირში თითის ტაკებაშია.

არადა, საქმე სულაც ისე არ არის, როგორც ჩინჩაოტმა, ანუ უმიზეზოდ მიზეზიანმა ნაციონალებმა შექმნეს.

თბილისის შემდეგ, 15 ნოემბერს, ახლა ათენში გაიმართა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მორიგი სესია. საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ჩაფრინდა და იქაურ პარლამენტში განლაგდა სესიის მონაწილე 150 კაცი და, წესისამებრ, ასამბლეის პრეზიდენტი რუსი გავრილოვი იქაც ბერძნული პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში მოკალათდა... სესიის სხდომის წინ სამდივნოზე ასამბლეის პრეზიდენტმა გავრილოვმა განაცხადა, **დამერწმუნეთ, რომ აძ, როგორც საქართველოში, მართლმადიდებელთა ასამბლეა საბერძნეთის გუბერნიად გამოსაცხადებლად არ ჩამოსულა, რარიგადაც ეს ქართულმა მავნე ოპოზიციამ გამოიყენა და პარლამენტის დარბაზი ნაციონალთაგან წინასწარ გაცემული საშვებით შეიარაღებული ხალხით თითქმის სავსე დაგვახვედრა, ჩვენი სესიის მუშაობის ჩაშლის მიზნით, ხოლო გარეთ ვაიუშველებელი ატეხა და იმდენი ძნა, რომ გასისხლიანებული ახალგაზრდების მოწმენი გაგვხადა, რისთვისაც საქართველოს დღემდე არც ჩემთვის და არც ასამბლეის 150 წევრისთვის ბოდიშიც კი არ მოუხდია ასეთი შეურაცხყოფისთვისო.**

რას ერჩი, გავრილოვი ასამბლეის მონაწილეებთან ერთად მართლაც შეურაცხყოფილია და ბოდიშსაც სამართლიანად ითხოვს.

მთელი ეს თვეები სულ მინდოდა, რომ გულუბრყვილო, მიამიტი მაყურებლისა თუ მსმენელისთვის მეთქვა, თუ სინამდვილეში რა მოხდა იმ ავად სახსენებელ „გავრილოვის ღამეს“, იმ ავად სახსენებელ „ბართლომეს ღამისა“ არ იყოს, ამჯერად ეგრეთ წოდებულ ოპოზიციას ამოფარებულმა ნაციონალებმა, როგორ პროვოკაციულად მოსდეს შარი პუგონეტებს, ამჯერად, სამწუხაროდ და სავალალოდ, თავიანთი სიმართლის დაცვის უნარმოკლებულ „ოცნებას“.

თუ გასაგებად ვთქვი ჩემი სათქმელი, ნამდვილად აქამდე უთქმელობის დიდი ლოდი მომეხსნება გულიდან.

გურამ წიკლაური

P.S. **ზემოხსენებული** გავრილოვის განცხადება ქართული მხრიდან ბოდიშის მოხდის თაობაზე ჩვენს პრესაშიც დაიბეჭდა, ტელევიზიებმაც გადასცეს, მაგრამ საქმეში ხარ?! „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“ არადა, „ქართულ ოცნებას“ კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცა, რომ მოსახლეობისთვის ნათელი გაეხადა 20 ივნისს პარლამენტის წინ მომხდარი პოლიციასთან შეხლა-შემოხლის ამბავი, როცა ნაციონალთაგან ავად მოტყუებული ახალგაზრდობა შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას ითხოვდა.

„ოცნების“ გასაოცარი დემოკრატიის გამო ეს შარი და პროვოკაცია, როგორც იტყვიან, ხახვივით შერჩათ.

გ. გ.

ანატოლი ბიბილოვმაც „დაადანაშაულა“ ვაჟა გაფრინდაშვილი და მთელი საქართველო!

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა ვაჟა გაფრინდაშვილის საქმეზე პირველი კომენტარი გააკეთა. მან ექიმისთვის 1 წლით და 9 თვით პატიმრობის მისჯა ადეკვატურ განაჩენად შეაფასა.

„ვერ ვიტყვი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ხისტი ან სასტიკია. სულაც არა. ადამიანმა, რომელიც კანონს არღვევს, პასუხი უნდა აგოს. თანაც, თუ ამას განზრახ აკეთებ, ეს დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. ერთადერთი, რაც სინანულს იწვევს, ის არის, რომ ამ სიტუაციის პოლიტიზაცია ხდება“, — განაცხადა ბიბილოვმა.

მისი თქმით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და სახელმწიფო ამ ფაქტთან დაკავშირებით მრისხანე განცხადებებს აკეთებს, თუმცა საქართველოს მხრიდან დარღვევებზე არ რეაგირებენ.

„სრულიად უკანონოდ, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის შელახვით, ქართულმა მხარემ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე პოსტი დადგა. სამწუხაროდ, ამას არავინ აქცევს ყურადღებას, იმ ადამიანის საქციელიდან კი, რომელმაც გააზრებულად ჩაიდინა დანაშაული, პოლიტიკას აკეთებენ“, — განაცხადა დე ფაქტო ლიდერმა.



სამშენებლო კოდექსის ამოქმედება 10 წლით გადავადდა!

საქართველოს პარლამენტი ახალი სამშენებლო კოდექსის 10 წლით გადავადებას გეგმავს. იწონებენ თუ არა მთავრობის გადაწყვეტილებას და რა რისკებს ხედავენ სამშენებლო სფეროს წარმომადგენლები? „კომერსანტი“ დეველოპერული ბაზრის პოზიციით დაინტერესდა და შეეცადა, გაერკვია, კოდექსის ამოქმედების რამდენიმე წლით გადავადება ხომ არ შეაჩერებს სამშენებლო პროცესს?

„ერთბაშად ძალიან ბევრი სირთულე დააწვა სამშენებლო სექტორს რეგულაციების კუთხით, კიდევ რომ რამე დამემატოს ფიზიკურად ვერ შევასრულებთ სამუშაოს და გავჩერდებით“, — ამის შესახებ „კომერსანტს“ სამშენებლო კომპანია „ივერონის“ დამფუძნებელი **არჩილ ჯაყელი** ესაუბრა.

მისი ინფორმაციით, ერთი სექტორისთვის, ერთბაშად ამდენი ცვლილება არ შეიძლება. იმდენი პროცესი და ნიუანსია გასათვალისწინებლი, თუნდაც, ურთიერთობა მოსახლეობასთან, თანამშრომლებთან, ამ ყველაფერს როგორც მშენებლები, ასევე ბაზარიც უნდა შეეჩვიოს და შემდეგ უნდა მოხდეს დამატებითი რეგულაციების და სიახლეების ამოქმედება.

„კოდექსის 10 წლით გადავადებას ვემხრობი, რადგან რეალურად დაინახეს პრობლემები, რაც სამშენებლო ბაზარზე შეიქმნა სულ მცირე დროში და ახალი რეგულაციით არ დაამძიმეს ისედაც რთული სიტუაცია. არ ვამბობ, რომ რეგულაციები არ უნდა შეემუშავებინათ, უბრალოდ, ეტაპობრივად მიგვეღო, ნაბიჯ-ნაბიჯ გაგვეანალიზებინა ის შედეგი, რაც რეგულაციებს მოჰყა“, — აღნიშნავს ჯაყელი და განმარტავს, რომ ყოველი მომდევნო რეგულაციის ამოქმედებამდე აუცილებელია ის მთავრობამ კერძო სექტორთან შეათანხმოს.

„10 წელი არ არის დიდი დრო, თუ დავსხდებით და ერთად გავივლით ყველა დეტალს, სამშენებლო კოდექსში რა ცვლილებებიცაა დაგეგმილი, ბაზრისთვისაც უმტკივნეულო პროცესი იქნება. ასეთ დროს აუცილებელია, იმ მშენებლების აზრის გაზიარება, რომლებიც საქმეში ღრმად არიან ჩახედულები. ვამბობდი, რომ ამდენი ცვლილების აღსრულება რთული იქნებოდა. როგორც ძველი თბილისის შემთხვევაშია, რომელიც, ფაქტობრივად, გაჩერებულია. იმ ტერიტორიაზე, ადამიანს სახლი რომ ენგრეოდეს თავზე, ვერაფერს მოუხერხებს, ინვესტორი იქ ვერ შედის, ესაა რეგულაციის შედეგი“, — აცხადებს არჩილ ჯაყელი.

„საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის“ წარმომადგენელი **თორნიკე აბულაძე** აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე კოდექსის მიღება ზედმეტია, თანაც იმ ფონზე, როდესაც სამშენებლო სექტორში ამდენი სიახლეა.

„ბოლო დროს სამშენებლო სექტორი ძალიან დაიტვირთა სიახლეებით და ახალი რეგულაციებით, სწორედ ამის გამო ვემხრობი კოდექსის გადავადებას, გონივრული ვადით, რომელიც 2 წლამდე განისაზღვრება. ამ პერიოდში ისიც უნდა გავითვალიწინოთ, რომ სხვა კანონი არ მივიღოთ მშენებლობასთან დაკავშირებით. იმ ცვლილებებს, რომელიც უკვე განხორციელდა, როდესაც გავითავისებთ, შემდეგ გადავიდეთ ახალზე“, — ამბობს აბულაძე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტი ახალი სამშენებლო კოდექსის 10 წლით გადავადებას გეგმავს, — ამის შესახებ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე დავით აბულაძე საუბრობს.

მისივე ინფორმაციით, თბილისის მერიის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ შესატან ცვლილებებს მხარი დაუჭირა. ამ მოთხოვნას, ცვლილების ავტორები, კოდექსის თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან შეუსაბამობით ხსნიან. საუბარია კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის ათი წლით გადავადებასა და ამ ნაწილში, თბილისისთვის საკუთარი ადგილობრივი წესების შემუშავების უფლების შენარჩუნებაზე.

შეგახსენებთ, აღნიშნული კოდექსი 6 წლის განმავლობაში მუშავდებოდა, ერთი წლის წინ მიიღეს და ძალაში 3 დეკემბერს შევიდა.

ნათია ლომიძე

ეკონომიკის სამინისტროს ყოფილ შენობაში სასტუმროს მშენებლობა დაიწყო

თბილისში, ჭანტურიას ქუჩაზე, ეკონომიკის სამინისტროს ყოფილ შენობაში სასტუმროს მშენებლობა დაიწყო. ამასთან, ინვესტორ კომპანია „ჰუალინგს“ საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ყოველ დღეზე დასარიცხი ჯარიმა 500 ლარიდან ერთ ლარამდე შეუმცირდა.

ინვესტორი შემცირებულ პირგასამტეხლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიხდის, თუკი ჭანტურიას ქუჩაზე არანაკლებ 100-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობას 2023 წლის 26 ოქტომბრამდე დაასრულებს. ეკონომიკის სამინისტროს შენობა აუქციონზე 2015 წლის 26 ივნისს 9 მილიონ 450 ათას დოლარად გაიყიდა. „ჰუალინგ ჯგუფს“ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების, ანუ არანაკლებ 100-ნომრიანი სასტუმროს ამოქმედების ვალდებულება 2019 წლის 20 აპრილამდე ჰქონდა. ამის შემდეგ კომპანიას პირგასამტეხლო დღეში 500 ლარის ოდენობით ერიცხებოდა. „ჰუალინგში“ განმარტავდნენ, რომ მშენებლობას სანებართვო პროცედურების გაჭიანურების გამო ვერ იწყებდნენ. კომპანიამ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან თბილისში, ჭანტურიას ქუჩის 12 ნომერში, შენობა-ნაგებობის სასტუმროდ რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმება 2019 წლის 26 ნოემბერს შეძლო.

„სამთავრობო აგარაკები“ აუქციონზე იყიდება

პროექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ელექტრონულ აუქციონზე დაბა წყნეთში არსებული სამთავრობო რეზიდენცია — აგარაკები გამოიტანა. ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.

წყნეთის სამთავრობო რეზიდენცია (13 შენობა-ნაგებობა) განთავსებულია 89,988 კვ.მ. ტერიტორიაზე, რომლის საწყისი ღირებულება 55,710,287 ლარად სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ შეაფასა.

საინვესტიციო პირობებით, მყიდველი ვალდებული იქნება, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 36 თვეში აგარაკის მთლიან ტერიტორიასა ან მის ნაწილზე ააშენოს სასტუმრო.. ამასთან, მყიდველს შეუძლია განახორციელოს არსებული შენობების დემონტაჟი ან რეკონსტრუქცია. ინვესტიცია, რომელიც მყიდველმა პროექტში უნდა განახორციელოს, არანაკლებ 20 მლნ ლარია. პროექტის განხორციელება შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ამავე დროს, ამით ხელი შეეწყობა მომიჯნავე მიწა-წყლის ეკონომიკურ განვითარებას.

წყნეთის აგარაკები ცნობილია თავისი გამწვანებით და წიწვოვანი ხეებით. საპრივატიზებო პირობებში ცალსახადაა მითითებული, რომ იქაურობის განაშენიანება გენერალური გეგმის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, რაც მწვანე საფარის სრულად დაცვას ითვალისწინებს.

პრივატიზაციის უპრეცედენტო და მასშტაბური პროექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში 100-ზე მეტი კომერციულად მიმზიდველი საპრივატიზებო ობიექტი აუქციონზე გამარტივებული ბიუროკრატიული პროცედურებით არის გამოტანილი.

გამარტივებული პროცედურა გულისხმობს უკვე გამზადებულ საინვესტიციო პაკეტებს, მათ შორის უძრავი ქონების განვითარების შესაძლებლობას გენერალური განაშენიანების გეგმის გათვალისწინებით. ასევე წინასწარ არის მოგვარებული ყველა იურიდიული საკითხი, როგორიცაა შეფასება, ქონების რეგისტრაცია, საზღვრების დაზუსტება და სხვა. აუქციონზე გასაყიდი ქონების საერთო საწყისი ღირებულება 150 მილიონი ლარია. პროექტის განხორციელების შედეგად 2 500 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მოსალოდნელი ინვესტიციის მოცულობა კი დაახლოებით 200 მლნ ლარი იქნება.

აუქციონი იქნება მუდმივად შევსებადი და ეტაპობრივად დაემატება ახალი ობიექტები. საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა მოიცავს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას და მოიცავს თბილისსა და საქართველოს 45-მდე ქალაქსა და მუნიციპალიტეტს. საპრივატიზებო ნუსხაშია სამრეწველო ობიექტები, სასაწყობო და სატბორე მეურნეობები, სამედიცინო დაწესებულებები, სპორტული ინფრასტრუქტურა, სასტუმროები და დეველოპერებისთვის საინტერესო სხვა სახელმწიფო ქონება.

ქართული ღვინის საექსპორტო ფასი იზრდება

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი ოფიციალური მონაცემებით, ქართული ღვინის ფასი მიახლოებულია წამყვანი მეღვინეობის ქვეყნების ღვინის ფასებთან და არანაირად არ ასოცირდება დაბალფასიან ღვინოებთან.

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის OVI-ის 2019 წლის აპრილის ანგარიშის მიხედვით, 1 ლიტრი ღვინის საექსპორტო ფასი არის: საფრანგეთი — 6,6 ევრო, იტალია — 3,12 ევრო, საქართველო 3,07 ევრო, გერმანია — 2,71 ევრო, პორტუგალია — 2,68 ევრო, ესპანეთი — 1,39 ევრო, და ა.შ.

შარშან American Association of Wine Economists-მა (AAWE) გამოაქვეყნა მაჩვენებლები, რომლის მიხედვით, 2014-16 წლებში, ექსპორტზე გატანილი 1 ლიტრი ღვინის საშუალო ღირებულებით — 3,49 აშშ დოლარი — საქართველო მსოფლიოში მე-5 ადგილს იკავებდა. AAWE — „ღვინის ეკონომისტების ამერიკული ასოციაცია“ პრესტიჟული ამერიკული ორგანიზაციაა და მის მიერ შედგენილი რეიტინგით პირველ ადგილს საფრანგეთი იკავებს (6.59 $), მას მოსდევს ახალი ზელანდია (5.39 დოლარი), მესამე ადგილზე კი ამერიკის შეერთებული შტატებია (3.68 $). საქართველოს ერთი ადგილით ავსტრია უსწრებს, რომელიც რეიტინგში მეოთხე ადგილს იკავებს (3.51 დოლარი).

ქართული ღვინის საექსპორტო ფასის ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია: 2018 წელს საქართველოდან ექსპორტირებული 86,2 მლნ ბოთლი ღვინო 2017 წელთან შედარებით რაოდენობრივად 13%-ით, ხოლო ღირებულებით 20%-ით იყო გაზრდილი (203 მლნ აშშ დოლარი). საშუალო საექსპორტო ფასის ზრდის ტენდენცია წელსაც შენარჩუნდა: განვლილ 11 თვეში ექსპორტირებული 86 მლნ ბოთლი ღვინო 10%-ით, ხოლო ღირებულება (220 მლნ აშშ დოლარი) 20%-ით მეტია 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე. 2018 წელს საშუალო საექსპორტო ფასი ერთი ბოთლის იყო 2,35 აშშ დოლარი, ხოლო 2019 წელს — 2,55 აშშ დოლარი, ანუ ტენდენცია არის მზარდი. აღსანიშნავია, რომ ღვინის საბოლოო გასაყიდი ფასი დახლზე 3-4-ჯერ აღემატება მეწარმის მიერ და-

ერის სიამაყე

აღიარებული მეცნიერი, წარმატებული პედაგოგი, ღირსეული მამულიშვილი

ნოემბერში **რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო სხდომის გადაწყვეტილებით არჩეულ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს შორის ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები და კოლეგებიც არიან. ყველა მათგანს ვულოცავთ დიდ აღიარებას.**

საპატიო მოვალეობად მიმაჩნია, მოვულოცო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) არჩევა კოლეგას, ქართველ მეან-გინეკოლოგთა დიდ მეგობარს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ **ალექსანდრე მაქაცარიას.** მისმა ქართველმა კოლეგებმა კარგად ვიცით, თუ როგორი რთული გზა გაიარა მან მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის წოდებულების მოპოვებამდე.

დაიბადა ზუგდიდში, ექიმების დავით მაქაცარიასა და ნათელა ცხადაიას ოჯახში. ოქროს მედლით დაამთავრა ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო მოსკოვის ი. სეჩენოვის სახელობის პირველ სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. აქვე დაამთავრა ასპირანტურა და 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1984 წელს – სადოქტორო, რის შემდეგაც აირჩიეს პროფესორად. ამჟამად ხელმძღვანელობს ი. სეჩენოვის სახელობის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტის ნ. ფილატოვის სახელობის ბავშვთა ჯანმრთელობის კლინიკური ინსტიტუტის მეანობისა და გინეკოლოგიის კათედრას.

ამ მშრალი ინფორმაციის უკან დგას ღირსეულ მოქალაქედ და აღიარებულ მეცნიერად ჩამოყალიბების უაღრესად რთული, წინააღმდეგობრივი გზა, რომელიც, ბუნებრივია, როგორც იტყვიან, ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო ყველგან და ყოველთვის ახალ-ახალი გამოწვევებისთვის დაეპირისპირებინა მტკიცე ნებისყოფა, მოვლენების არსში წვდომის ნიჭი, საერთოდ სტუდენტური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი სირთულეების დაძლევის საჭირო ჭკუა და უნარი.

ბატონი ალექსანდრეს ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან უნდა გამოვყოთ რამდენიმე მხარე.

სამეცნიერო მოღვაწეობის მრავალფეროვნება. 1200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 44 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია. აღიარებულია მეანობაში, გინეკოლოგიასა და პერინატოლოგიაში ახალი სამეცნიერო მიმართულების მედიცინის დისციპლინათშორისი პრობლემის კლინიკური ჰემოსტაზიოლოგიის ფუძემდებლად, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ სფეროში პათოგენეზის შესახებ არსებული წარმოდგენების გაღრმავებისათვის.

აღიარებულია მისი უდიდესი წვლილი დედის, ნაყოფისა და ახალშობილის დაავადებებისა და სიკვდილობის განმაპირობებელი პათოგენური მდგომარეობების – თრომბოზების, კოაგულოპათიური სისხლდენების, პრეეკლამპსიების, ნაყოფის დაკარგვის სინდრომის, სეპტიკური შოკის და სისტემური ანთებითი პასუხის და ანტიფოსფოლიპიდური სინდრომის, გენეტიკური და შეძენილი თრომბოფილიის შესწავლაში. ითვლება მსოფლიოში ონკოთრომბოზების პრობლემის ერთ-ერთ წამყვან მკლევარად.

მისი საერთაშორისო აღიარების დამადასტურებელია ის, რომ მისივე კათედრასთან თანამშრომლობენ კანადის, საფრანგეთის, ისრაელის, ავსტრიის, იტალიის სამედიცინო უნივერსიტეტების გამოჩენილი სპეციალისტები, რომლებიც მეანობის, გინეკოლოგიის, ჰემოსტრაზიოლოგიისა და იმუნოლოგიის სფეროში მსოფლიოში აღიარებულები არიან.

ბატონი ალექსანდრე 2014 და 2018 წლებში კითხულობდა ლექციებს კორნელის (აშშ) და ვენის (ავსტრია) უნივერსიტეტებში მოწვეულ პროფესორად. 2018 წელს არჩეულ იქნა ვენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად. იგი არჩეულია თრომბოზებისა და ჰემოსტაზის კლინიკური პრობლემების საერთაშორისო აკადემიის (ჰიუსტონი, აშშ, 2000 წ.) და პერინატოლოგიის საერთაშორისო აკადემიის (აშშ, 2016 წ.) აკადემიკოსად.

პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 165 მეცნიერებათა კანდიდატი, მათ შორის 24 მეცნიერებათა დოქტორი. მას დიდი წვლილი აქვს ქართველი პროფესიონალების აღზრდა-დახელოვნებაში. 12-მა თანამემამულემ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი. დღესაც ათეულობით ქართველი კოლეგა წარმატებით თანამშრომლობს მასთან. მისი, როგორც პედაგოგის, საერთო აღიარებას ადასტურებს ისიც, რომ მისი აღზრდილები წარმატებით მოღვაწეობენ კათედრების, ინსტიტუტების, მეან-გინეკოლოგიის პროფილის მიმართულებების ხელმძღვანელებად არა მარტო რუსეთში, არამედ ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში.

საზოგადოებრივ-სამეცნიერო საქმიანობა. ბატონი ალექსანდრე ფართო ერუდიციის, როგორც იტყვიან, ენციკლოპედიური ცოდნით გამორჩეული მოღვაწეა. იგი რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციის და მსოფლიო კონგრესის სამეცნიერო პროგრამების ხელმძღვანელი იყო. არჩეულია მეან-გინეკოლოგთა რუსეთის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად.

აღიარებული ჟურნალის „მეანობა, გინეკოლოგია და რეპროდუქცია“ მთავარი რედაქტორია. ჟურნალ „მეანობა და გინეკოლოგია“ და ჟურნალის „Journal of MaternalFetaland Neonatal Medicine“-ის (დიდი ბრიტანეთი) სარედაქციო კოლეგიების წევრი. ი. სეჩენოვის სახელობის პირველი სამედიცინო უნივერსიტეტისა და ვ.კულაკოვის სახელობის მეანობის, გინეკოლოგიისა და პერინატოლოგიის სამეცნიერო ცენტრის სადისერტაციო საბჭოების წევრია. მინიჭებული აქვს რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია მოსკოვის საპატრიარქოს ორდენით „პროფესია და ცხოვრება“. საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციამ პროფესორ ალექსანდრე მაქაცარიას „მედიცინის რაინდის“ წოდება მიანიჭა.

ბატონი ალექსანდრე რამდენიმე სახელობითი პრემიის ლაურეატია.

ბატონი ალექსანდრე, როგორც პიროვნება (მოქალაქე), გამორჩეულია ისეთი თვისება-ღირსებებით, როგორიც კაცთმოყვარეობა, მამულიშვილობა, განსწავლულობა, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება, პრინციპულობა, საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობაა. იგი ყველა ამ თვისებას ყველგან და ყოველთვის ავლენდა და ავლენს, თანაც, თავმოყრილად. სწორედ ამაშია მისი სახელგანსმენილობის საიდუმლო.

ბატონი ალექსანდრეს ოჯახის ყველა წევრი ერთგულად და მაღალპროფესიულად ემსახურება ჯანმრთელობის დაცვას. მეუღლე – ქალბატონი ტატიანა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. ვაჟიშვილი ლადო (ვლადიმერი), რომელმაც ექიმობის ოჯახური ტრადიციები დაარღვია, აშშ-ის მინესოტას უნივერსიტეტი დაამთავრა, მედიცინის სამყაროდან შორს არ წასულა. იგი, როგორც თანამედროვე ტიპის მმართველი, ნაყოფიერად მუშაობს აღიარებული ტრანსნაციონალური კომპანიის „ჯონსონ ჯონსონის“ ცენტრალურ აპარატში (ოფისში) ერთ-ერთი წამყვანი მიმართულების ხელმძღვანელად. ქალიშვილი ნატო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია და მუშაობს ი.სეჩენოვის უნივერსიტეტში მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის დოცენტად.

ქართველ კოლეგებთან მისი ურთიერთობა უაღრესად საყურადღებო მოვლენებით არის წარმოდგენილი. უკანასკნელ წლებში საქართველოში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმების, კონფერენციების მუშაობაში არა მხოლოდ ქმედითად მონაწილეობდა, არამედ მისი თაოსნობით მოხერხდა შესაბამისი პროფილის ხელმძღვანელებისა და მოქმედი საერთაშორისო სტრუქტურების აღიარებული მეცნიერების მონაწილეობა თბილისში გამართულ ღონისძიებებში.

ქართველი კოლეგების სახელით ვულოცავთ ბატონ ალექსანდრეს დიდ აღიარებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მორიგ წარმატებებს ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობაში.

ნიკოლოზ კინტრაია,

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, თსსუ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

ეკატერინე ტიკარაძე:

სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გააქტიურება სკოლებში მნიშვნელოვნად შეცვლის ვითარებას

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე მიიჩნევს, რომ სკოლებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გააქტიურება მნიშვნელოვნად შეცვლის ვითარებას.

„ჩვენ ინტენსიურად ჩავერთეთ ამ პროცესში და ვთვლით, რომ სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების გააქტიურება სკოლებში მნიშვნელოვნად შეცვლის იმ ვითარებას, რომელიც დღესდღეობით საზოგადოებაში გვაქვს.

მე ვთვლი, რომ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მედიის ჩართულობა იმ კუთხით, რომ იმ ნეგატივის, რომელიც საზოგადოებაში არსებობს, ტრანსფერი ვართ ჩვენც და მედიაც... და ეს პასუხისმგებლობა არის როგორც სახელმწიფოსი ასევე მთავრობის“, – განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

კითხვაზე, რა ინფორმაცია აქვს 15 წლის მოზარდის გამოკითხვის დროს სასწრაფო დახმარების გამოძახების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე, მინისტრმა აღნიშნა, რომ ყველა საკითხს უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში განიხილავენ.

„ყოველივე ამას განვიხილავთ კომისიის ფარგლებში, ვინაიდან ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს დეკლარირებული და დადასტურებული ინფორმაცია. დადასტურებული ინფორმაციის შემდეგ ესეც გახდება საჯარო“, – აღნიშნა ეკატერინე ტიკარაძემ.

ოპერის თეატრის შენობა გაძლიერდება...

გეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, ოპერის თეატრის შენობის გაძლიერებისთვის დამატებითი ღონისძიებების ჩატარება გახდა საჭირო, – ამის შესახებ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის განცხადებაშია ნათქვამი.

„რესტავრაციის შემდგომ შენობა იდეალურ მდგომარეობაში იყო, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ რუსთაველის გამზირი გეოლოგიურ-ჰიდროლოგიურად არასტაბილურ ზონად ითვლება, მდებარეობს მთაწმინდის ფერდზე და მის ქვეშ გადის გრუნტის წყლები, სახელმწიფოს მხრიდან მუდმივად იმყოფება მეთვალყურეობის ქვეშ.

2017 წელს გეოლოგიური გამოკვლევებით გადამოწმდა და დადგინდა, რომ მიწის ქვეშ გრუნტის წყლებმა მიმართულება შეიცვალა, რომელსაც შესაძლოა, საფრთხე შეექმნა შენობის ნაწილისათვის. ამიტომ, გეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, შენობის გაძლიერებისთვის დამატებითი ღონისძიებების ჩატარება გახდა საჭირო. შესაბამისად, მომზადდა შენობის კონსტრუქციის გაძლიერების პროექტი, რის საფუძველზეც დღეისთვის მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები, რაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პატრონაჟით ხორციელდება“, – აღნიშნულია ოპერის თეატრის განცხადებაში.

1966 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში სერიით „დიდ ადამიანთა ცხოვრება“ გამოსცეს წიგნი სათაურით „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეთა და ჟურნალისტთა შთაბეჭდილებანი, დაფუძნებული პირად შეხვედრებზე კრემლში.

ვიმოწმებთ მოკლე ნაწყვეტებს აღნიშნული წიგნიდან.

ლუის ფიშერი (1896-1970) — ამერიკელი ჟურნალისტი. გაზეთ „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტის“ კორესპონდენტი მოსკოვში 1922-1938 წლებში.

ფრაგმენტი წიგნიდან „ადამიანები და პოლიტიკა“ (ნიუ-იორკი, 1941).

შუადღის პირველ საათზე მიგვიწვიეს სტალინის ვრცელ კაბინეტში და იქ ვიმყოფებოდით საღამოს შვიდ საათსა და თხუთმეტ წუთამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში სტალინი ერთხელაც არ გასულა ოთახიდან, ერთხელაც არ დაუძახია ვინმესთვის და არც არავის დაურღვევია ჩვენი მყუდროება. კაბინეტში ტელეფონი არ დაგვინახავს.

საბჭოთა რუსეთის მესაჭე, ვის ხელთაც არის მთელი ხელისუფლების სადავეები, შეგნებულად მოსწყდა ყველას და ყველაფერს თითქმის მთელი სამუშაო დღით. მას ისე ჰქონდა აწყობილი თავისი მუშაობა, რომ შეეძლო მთლიანად დაეთმო თავი სტუმრებისთვის. ასეთი გულისხმიერება დამახასიათებელი თვისებაა სტალინისა.

სტალინის კაბინეტში ჩვენი ხანგრძლივი ყოფნისას ორჯერ, წინასწარ გაცემული განკარგულებით, ტიპურმა რუსმა მუშაქალმა შემოიტანა ძეხვის, ყველისა და ხიზილალის სენდვიჩები, აგრეთვე, ვეება სამოვარი, ორთქლი რომ ასდიოდა და ჭიქები ჩაისთვის ლიმონით. ეს იყო და ეს. ამ ქალის გარდა არავინ შემოსულა ოთახში.

სტალინმა გაცნობისას თითოეულ ჩვენგანს ცოცხლად და მაგრად ჩამოგვართვა ხელი. მერე კი მიგვიპატიჟა, რომ დავმსხდარიყავით სკამებზე გრძელი მაგიდის გასწვრივ, რომელსაც მწვანე მაუდი ეფარა.

სტალინს ეცვა სამოქალაქო ხაკის სამოსელი. შარვალი მუხლქვეშ ჩატანებული ჰქონდა შავი ტყავის ჩექმებში.

სტალინი ჩასკვნილი ტანისაა, მაგრამ სიმსუქნე არ ეთქმის. სწრაფად და უჩუმრად დააბიჯებს. რომ არ მცოდნოდა, ვინ იყო, ჩემზე ვერავითარ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. იგი გამოიყურება, როგორც ერთი მილიონთაგანი საბჭოთა მუშა.

სტალინი იჯდა მაგიდის თავში. მე ვიჯექი მის გვერდით, ხელმარცხნივ. ვაკვირდებოდი და ფანქრით ვწერდი ძუნწ შენიშვნებს, ახლა ჩემ თვალწინ რომ ძევს და აი, ვკითხულობ: **„ღრმა ნაყვავილარი მთელ პირისახეზე... ეშმაკური თვალები... დაბალი შუბლი... ხშირი, შავი ფერის თმა. როდესაც იღიმება, მოუჩანს ულაზათო, ჩაშავებულ-ჩაყვითლებული მომცრო კბილები“.**

ღიმილით კი იშვიათად იღიმებოდა. საქმით იყო გართული, მაგრამ კონფერენციებსა და საჯარო შეხვედრებზე, აგრეთვე თავისუფალ დროს, არაერთხელ დამინახავს, გულიანად რომ იცინოდა ხოლმე.

ლევ ტროცკის ხელთ უპყრია მიმზიდველი პიროვნების ჯადოსნური კვერთხი და ატყვევებს თანამოსაუბრეს. სტალინი ამას არ აკეთებს. მაგრამ ჩვენთან საუბრისას, რაც მეტი დრო გადიოდა, ჩემი პატივისცემა მისი ძალის, ნებისყოფისა და რწმენის მიმართ უფრო და უფრო იზრდებოდა. სტალინი თანდათანობით ქმნიდა ამგვარ შთაბეჭდილებას, ისევე როგორც თავისი პოლიტიკური მდგომარეობა შეუქმნია ნელ-ნელა, მეთოდურად, აგურ-აგურ შენებით. მთელი შეხვედრის მანძილზე სტალინს არაფერი უთქვამს ისეთი, ბრწყინვალე ნათქვამს რომ დაარქმევდი. იგი იყო პროზაული, სერიოზული და უბრალო. მისი მტკიცებანი დააინტერესებდა ეკონომიკის პროფესორებს და გასაგები იქნებოდა ფაბრიკა-ქარხნების მუშებისთვისაც. ჩვენი შეკითხვები წინასწარ მოახსენეს და მან, ალბათ, წინასწარვე მოამზადა პასუხები. ზოგჯერ ვერ იჭერდა შეკითხვის აზრს და სიტყვა გაურბოდა ერთიდან მეორეზე, ვიდრე საქმის არსამდე მიაღწევდა, მაგრამ საბოლოოდ მისი ნათქვამი ზუსტად მიზანში ხვდებოდა. მისი პასუხები ყოველთვის ამომწურავი იყო. მისი მენტალიტეტი ღარიბია გონებამახვილობით ან გამჭრიახი შენიშვნებით, რასაც ძალუძს გააჩახჩახოს აზრის მთელი ასპარეზი. იგი ხანგრძლივად და ღრმად ხნავს. მისი სრულყოფილი თავდაჭერა, სრულყოფილი უჩინარობა ნერვებისა და წყნარი ხმა გამოხატავდა შინაგან ძალას. და ხვდები, რომ ეს კაცი რკინისა უნდა იყოს. კითხვები, რომლებიც დაუსვეს სტალინს, ეხებოდა მარქსიზმის თეორიას, ლენინიზმსა და იმპერიალიზმს. მან თავს ნება არ მისცა, რომ ჩათრეულიყო დისკუსიაში ტროცკისთან უთანხმოების თაობაზე. კომუნისტი ლიდერისთვის ეს არ იყო საგანი დისკუსიისა არაკომუნისტებთან. მან თქვა: **„ლენინი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია სრულყოფილი სოციალისტური საზოგადოების აშენება პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია იმპერიალისტური სახელმწიფოებით“.**

კიდევ დაუსვეს შეკითხვები: არსებობს თუ არა რუსეთში კერძო თაოსნობაო? იღებს თუ არა ამერიკის კომუნისტური პარტია ბრძანებებსა და ფულს მოსკოვიდან? სტალინმა თქვა, რომ ეს შეიძლება ხდებოდეს გარკვეულ გარემოებათა კარნახით. მერე ჰკითხეს: კომუნისტი უნდა იყოს თუ არა ათეისტი? იმ დროს, როცა ამ შეკითხვას პასუხობდა, ზარების რეკვამ ქუჩის გადაღმა მდებარე ეკლესიიდან ლამის ჩაახშო მისი ხმა. სტალინმა გაიღიმა და ჩვენც გაგვეცინა (შემდგომ წლებში ეკლესიის ზარები დაადუმეს სათანადო ბრძანებულებით). სტალინმა გვიპასუხა: „დიახ, კომუნისტი უნდა იყოს ათეისტი“.

აი, ეს და კიდევ სხვა შეკითხვები დაუსვეს სტალინს. სამი საათი რომ გავიდა, დელეგატები უკვე თავიანთი სკამების კიდეზე ისხდნენ და ამერიკელ მუშათა დელეგაციის ხელმძღვანელი ჯერომ დევისი მზად იყო, რომ ამის მსგავსი რამ ეთქვა: **„მისტერ სტალინ, მადლობას გიხდით თქვენი გულისხმიერებისთვის, ამდენი დრო რომ დაგვითმეთ“.** მაგრამ სტალინმა ხელსაყრელი შემთხვევა არ მისცა. ბოლოს და ბოლოს, შეხვედრის დაწყებიდან ოთხი საათიც რომ გავიდა, დევისმა წარმოთქვა თავისი სათქმელი. მაგრამ სტალინმა მიუგო: **„არა, არა! მე ხომ ვუპასუხე თქვენს შეკითხვებს. ახლა თქვენ უნდა გასცეთ პასუხი ჩემს შეკითხვებს“.** და ორსაათნახევარი სვამდა შეკითხვებს. და ამერიკელები პასუხობდნენ. არკვევდა, თუ რატომ არის პროფკავშირებში მუშათა სიმცირე; არსებობს თუ არა ამერიკაში უმუშევართა შესაწევარი, ისე როგორც რუსეთში; რატომ არ წარმოიქმნა მუშათა პარტია შეერთებულ შტატებში; და ამერიკის მთავრობა აქამდე რატომ არ ცნობს საბჭოთა რუსეთს? ეს იყო და ეს.

უსასრულო მოთმინების ნიჭი...

დამშვიდობებისას სტალინმა ყოველ ჩვენგანს კიდევ ერთხელ მაგრად ჩამოგვართვა ხელი, კინაღამ თითები არ დაგვამტვრია, და წამოვედით. მე ვიგრძენი, რომ სტალინი არის ტიპური ბოლშევიკი — არასენტიმენტალური, მტკიცე ნებისყოფისა, მოურიდებელი და შეუპოვარი.

ჯოზეფ დევისი (1876-1958) — აშშ ელჩი საბჭოთა კავშირში 1936-1938 წლებში.

ფრაგმენტი წიგნიდან „მისია მოსკოვში“ (ნიუ-იორკი, 1943).

პრეზიდენტ კალინინის კაბინეტი რომ დავტოვე და პრემიერის მისაღებისაკენ გავემართე — სულ ორიოდე წუთით ჩამოვჯექი მაგიდასთან. განცვიფრებამ შემიპყრო და მოულოდნელობისგან ლამის დავმუნჯდი, როდესაც დავინახე, თუ როგორ გაიღო კარი ოთახის სიღრმეში და შემოვიდა სტალინი. თან არავინ ახლდა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამგვარი რამ შეიძლება მომხდარიყო. უწინარეს ყოვლისა, ის არ არის სახელმწიფოს მეთაური და მისი, თუ განსაკუთრებით სხვათა, მიზანია, რომ განზე იდგეს სახელმწიფოსგან და მართლაც, არც ერთი დიპლომატი არასოდეს შეხვედრია მას ოფიციალურად ანდა პირადად. დიახ, იგი თავს არიდებს ამგვარ შეხვედრებს. ისე საგულდაგულოდ არის დაცული გარესამყაროსგან, რომ თითქმის ისტორიულ მოვლენად ჩაითვლება, თუკი რომელიმე უცხოელი სტუმარი მიუღია.

როდესაც სტალინი შემოვიდა ოთახში, წამოვდექი და მივუახლოვდი. გულთბილად მომესალმა, ღიმილითა და დიდი უბრალოებით, მაგრამ ჭეშმარიტი ღირსებით. გრჩება შთაბეჭდილება ძლიერი პიროვნებისა, რომელიც არის თავდაჭერილი და ბრძენი. უაღრესად კეთილი და ალერსიანი თაფლისფერი თვალები აქვს. ბავშვებს მოეწონებოდათ მის კალთაში ჯდომა და ძაღლებიც ნდობით მიუჩოჩდებოდნენ. ძნელია, დაუკავშირო მისი კეთილგანწყობა და მშვიდი უბრალოება იმას, რაც აქ ხდებოდა ამ „წმენდათა“ და წითელი არმიის გენერლების დახვრეტის დროს და ა.შ. მისი მეგობრები ამბობენ და ელჩი ტროიანოვსკიც მარწმუნებს, რომ ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო გერმანიისგან თავდაცვის მიზნით და ერთ მშვენიერ დღეს გარესამყარო ჩვენს მხარეზე დადგებაო.

მაგიდასთან დავსხედით თარჯიმანთან ერთად და მთელი ორი საათი ვსაუბრობდით. არ შემიძლია, მოგწერო, თუ რას ვსაუბრობდით, ვინაიდან ეს განკუთვნილია მხოლოდ პრეზიდენტის, სახელმწიფო მდივნისა და ჩვენი მთავრობისთვის, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მსჯელობა მოიცავდა ვრცელ ასპარეზს — ვეხებოდით ეკონომიკას, მრეწველობის მდგომარეობას რუსეთში, შეერთებული შტატების პრობლემებს, პრეზიდენტ რუზველტის პიროვნებას, ვითარებას ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში — ყველაფერს ძალზე ზოგადად.

ეს იყო მართლაც რომ ინტელექტუალური ლხინი, ყველასთვის სასიამოვნო. დროდადრო ვხუმრობდით და ვიცინოდით. **სტალინს ემარჯვება ირონია. იგი დაჯილდოებულია დიდი ინტელექტით, რომელიც არის მახვილი, გამჭრიახი და, რაც მთავარია, ბრძნული.** ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. თუკი თქვენ გნებავთ, დახატოთ პიროვნება, რომელიც ზედმიწევნით ეწინააღმდეგება იმას, რაც კი სადმე წარმოუდგენია ყველაზე გაოფთრებულ ანტისტალინისტს, თქვენ შეგიძლიათ, დახატოთ ეს კაცი. აქაური გარემოებანი და მისი პიროვნება სწორედ იმდენად არიან დაშორებული ერთიმეორეს, რამდენადაც ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები. რა თქმა უნდა, ამის ახსნა შეიძლება, ვიპოვოთ იმ ფაქტში, რომ ადამიანები სარწმუნოებისა ანდა საქმის გულისთვის აკეთებენ იმას, რასაც სხვა დროს არასოდეს გააკეთებდნენ. ეს არის სამყაროს ფანატიზმი, რომელსაც უდიდესი სისასტიკენი მოაქვს.

უოლტერ დიურანტი (1884-1957) — ამერიკელი ჟურნალისტი. 1922-1936 წლებში ხელმძღვანელობდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ბიუროს მოსკოვში.

ფრაგმენტი წიგნიდან „ადამიანები, რომლებიც მართავენ რუსეთს“ (ნიუ-იორკი, 1949).

ჩვენი ყოფილი ელჩი ჯოზეფ დევისი სწერდა თავის ქალიშვილს სტალინთან შეხვედრის შთაბეჭდილებებს ამგვარად: **„უაღრესად კეთილი და ალერსიანი თაფლისფერი თვალები აქვს. ბავშვებს მოეწონებოდათ მის კალთაში ჯდომა“**... მისტერ დევისის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ძნელია ირწმუნო ეს „კეთილი და ალერსიანი თვალები“.

სტალინთან ჩემი პირველი შეხვედრისას უწყინარი შეკითხვა დავუსვი: „თქვენ გწამთ ბედისწერა?“ ჩემი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ადამიანური ინტერესი ჩამექსოვა იმაში, რაც საკმაოდ ერთფეროვან ინტერვიუდ მეჩვენებოდა. მაგრამ მოულოდნელ შედეგს მივაღწიე. ეს „კეთილი და ალერსიანი თვალები“ ნაწრთობი ფოლადივით აუელვარდა. მუშტი დაუბრახუნა მაგიდას და თქვა: **„თქვენ, რა, ქართველი დედაბერი ხომ არ გგონივართ, რომ ღმერთები და ეშმაკები მწამდეს? მე ბოლშევიკი ვარ და მთელი ეს აბდაუბდა არა მწამს“.**

საჩქაროდ განვუმარტე, რომ არავითარ პირადულს არა ვგულისხმობდი. მხოლოდ ვფიქრობდი ნაპოლეონზე, რომელსაც თავისი ბედის ვარსკვლავი სწამდა, და ოლივერ კრომველზე, რომელიც ყოველთვის ამბობდა, და ასეც მოხდა, რომ მისი უდიდესი წარმატება დაემთხვევა მისი დაბადების დღეს. ერთი სიტყვით, ბედისწერის რწმენას ვგულისხმობდი-მეთქი.

სტალინმა, ცოტა არ იყოს, ცივად გაიღიმა. ჩანს, კმაყოფილი დარჩა ჩემი მობოდიშებით და თქვა: **„მესმის, რასაც გულისხმობთ, მაგრამ პასუხი ისევ უარყოფითია. მე მწამს მარტოოდენ ერთი რამ — ადამიანის ნებისყოფის ძალა“.** პატიოსანი და მტკიცე განცხადებაა, მაგრამ ძნელად თუ მიესადაგება იმ კაცს, ვისაც „კეთილი და ალერსიანი თვალები“ აქვს ანდა იმას, ვის მუხლებზეც ბავშვს მოეწონება აცოცება.

სტალინმა სხვა რამეც თქვა: **„ლენინი განსხვავდება ყველა დანარჩენი ჩვენგანისგან თავისი წმინდა მარქსისტული აზროვნებითა და თავისი შეუდრეკელი ნებისყოფით“.** უკანასკნელ ორ სიტყვას შეიძლება ხაზი გაესვას, თუმცა სტალინმა ხაზგაუსმელად წარმოთქვა. მერე დასძინა: **„ლენინი თავიდანვე სწყალობდა სასტიკ პოლიტიკას და არჩევდა იმ ადამიანებს, რომელთაც ძალუძდათ მტკიცედ და წარბშეუხრელად გაეტარებინათ ამგვარი პოლიტიკა“.**

ინგლისურიდან თარგმნა თამაზ ნატროშვილმა

(გაგრძელება იქნება)

„ვისაც ნაღდად არცროდის არ ჰყვარებია, იმას არცროდის ნაღდად არ უცხოვრია“

– ასე ამბობდა ოდესღაც ქრისტე

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

სიყვარულზე, ქორწინებასა და ურთიერთობებზე

ვისაც ნაღდად არ ჰყვარებია, არცროდის ნაღდად არ უცხოვრია.

* * *

გუნებაში იშვიათი მოვლენაა ბედნიერი ქორწინება.

* * *

ცოლის მოვალეობაა ქმრის მიყოლა. ქმარი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, ბავშვებზეც კი, აღარაფერს ვამბობ ძმებზე. დაიხსომე: თუ ქმარს ნამეტანი ხშირად მიატოვებ მარტოს, აუცილებლად დაკარგავ.

* * *

ფრანგები, მაგალითად, ყოველივეს ბევრად ჯანსაღად უყურებენ და ქორწინებაში რომანტიკულ სიყვარულს არ ურევენ.

* * *

ყმაწვილკაცები საკუთარმა სიყვარულმა უნდა დააოჯახოს და არა მამინაცვალთა არჩევანმა, რომელთაგანაც მემკვიდრეობას მოელიან.

* * *

როგორც წესი, სადაც სიყვარულზეა ლაპარაკი, ქალები ცოტას ფიქრობენ სიამაყეზე. სიამაყე რაღაც ისეთი რამ არის, რაც ქალებს მუდმივად აღელვებულ ენებზე უტრიალებთ, მაგრამ არცროდის იმათ საქმეებსა და საქციელში არ ვლინდება.

* * *

კაცებს საშიშროება ყოველ ნაბიჯზე უდარაჯებთ, ქალებს კი – უმთავრესად სიყვარულში.

* * *

ვითომ არის ქორწინების რეცეპტი რამ? საეჭვოა.

* * *

ნაღდად იმას უყვარს, ვინც ნაკლებ უყვართ.

* * *

რა აზრი აქვს კაცის ქალთან კამათს? თუ ბოლოს ქალი მართალი გამოდგა, კაცი უსასრულოდ უხერხულად იგრძნობს თავს. თუ ქალი მართალი არ გამოდგა, მაინც არა ღირს იმასთან კამათი, ნამდვილი ჯენტლმენი ქალის ყოველგვარ ხუშტურს შემწყნარებლურად უნდა მოექცეს.

* * *

როცა შენიანს სასაცილო მდგომარეობაში ხედავ, ნამდვილად ხვდები, რა ძლიერ გყვარებია.

* * *

ის ქმრები, რომელთაც ბევრად მეტად უყვართ თავიანთი ცოლები, ვიდრე ცოლებს უყვართ ისინი, მუდამ იტანჯებიან. ასეთი ცოლები ეჭვიანობის სცენებს აწყობენ, ითხოვენ, რომ ქმარმა მთელი თავისი დრო იმათ დაუთმოს, მთელი ყურადღება იმათ მიაპყროს. ისინი კაცთაგან სუყველას ქვეყნის სასაცილოს ხდიან. ოო, ღმერთმა ყველას აშოროს ასეთი ცხოვრება.

* * *

ქალი თავის ქმარში ეძებს პატიოსნებას, უნდა, რომ მასში თავის საყრდენს გრძნობდეს, იმის აზრს პატივსა სცემდეს და, თუ ძნელი რამ ექნება გადასაწყვეტი, მშვიდად ენდოს იმას.

* * *

როგორც ჩვეულებრივ ხდება, კაცებს რცხვენიათ, როცა ქალები კუთხეში მიამწყვდევენ ხოლმე.

* * *

შეყვარებული კაცი საცოდავი სანახაობაა.

* * *

ჩემს ცხოვრებაში არ შევხვედრივარ ისეთ ძლიერ სიძულვილს, ვიდრე იმ კაცის სიძულვილია, ვისაც თავისი ნების წინააღმდეგ სიყვარული ბედმა აიძულა.

* * *

ქორწინება ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე სიყვარული. ქორწინებაში ყოვლის უფრო მთავარი პატივისცემაა. ოღონდ ის აღფრთოვანებაში არ უნდა ავურიოთ.

* * *

მთელი ცხოვრება ერთი ადამიანის სიყვარული პრივილეგიაა და არც ისე მნიშვნელოვანია, თუ იმისთვის ფასის გადახდა აუტანელი მოთმინებით გვიხდება.

* * *

პირველი სიყვარული არცრას ჩვენგან არ ითხოვს – არც მზირი თვალებით ცქერას, არც სიტყვას. ეს ოდენ წმინდა წყლის გაღმერთებაა.

* * *

ვინ მოთვლის, რა სისულელეს აღარ ლაპარაკობენ ადამიანები, როცა შეყვარებულნი არიან!

* * *

როს ადამიანთ ალალად უყვართ ერთმანეთი, არჩევანი აღარ რჩებათ და განა არჩევანი არა გვხდის თავისუფალთ? სიყვარულს ჩვენი დატყვევება სუყოველ ციხესა და გუშაგზე მეტად შეუძლია.

* * *

როცა კაცი თვალთმაქცობს, შეყვარებული ვარო, უბრალოდ მხიარულად ყოფნას ცდილობს. ნუ მოიხიბლებით, ძვირფასო ქალბატონებო.

* * *

თუ კაცი ქალის მიმართ ყოველგვარ ყურადღებას იჩენს, ის უფრო კარგად აღზრდილია და არა შეყვარებული. ხოლო თუ ის ქალი ნამდვილად უყვარს, მაშინ ცხვარსა ჰგავს.

* * *

ქალისა და კაცის ურთიერთტრფიალი იწყება მუდამ გასაოცარი ილუზიით, რომ ამქვეყნად ყოველივეზე ერთნაირად ფიქრობთ. შენ ჯერ რისამე წესიერად გაფიქრებაც არ მოგისწრია, მან კი, შენმა ქუდოსანმა აშიკმა, ის უკვე წარმოთქვა. რა კარგია ერთი და იგივე წიგნების და ერთი და იგივე მუსიკის სიყვარული! ამ დროს არცრა მნიშვნელობა არა აქვს, რომ ერთი თქვენგანს არცროდის მუსიკაზე არ უვლია. არადა, სინამდვილეში იმ შენს აშიკს ყოველთვის უყვარდა მუსიკა, ოღონდ უბრალოდ, ეს შეგნებული არა ჰქონია! და, პირიქით, შენ არცროდის თავში არ მოგსვლია, რომ ის წიგნები გეკითხა, იმას რომ მოსწონდა, და სინამდვილეში მხოლოდ ახლაღა მიხვდი, რომ სწორედ ისინი არა გქონდა წაკითხული. ასეთია ბუნების ერთ-ერთი უდიდესი ილუზია. ჩვენ ორსავე გვიყვარს ძაღლები და ვერ ვიტანთ კატებს. რა საოცრებაა! ორსავე გვიყვარს კატები და ვერ ვიტანთ ძაღლებს – ცუდი არც ეს არის!

* * *

სუყოველ ოჯახში მუდამ მოიძებნება საღელვებელი და საზრუნავი რამ.

* * *

რა ბედნიერებაა, თუ შენი მეგობრები გულკეთილნი, გულმხიარულნი არიან და არცროდის გაცინება არ უჭირთ! არაბნი საერთოდ გაცინების ტრფიალი და მასპინძლობით ცნობილი ხალხია. ზოგიერთი ძოწეულმოსილი ქალაქელი ეფენდი უკიდურესად აბეზარია, სოფლის კაცნი კი მუდამ კარგი, ჩინებულნი მეგობარნი არიან!

* * *

მადმუაზელ, უკეთუ ისევ გასათხოვარი ბრძანდებით, სულ იმის ბრალია, რომ არცვინ თქვენი ღირსი და მოსაწონი არ გამოჩნდა. ეგ მარტოობა სულ რჩევა-რჩევამ იცის და არა იმან, რომ ქმარი ვერ გიპოვიათ.

* * *

ცოლი ვალდებულია, ქმარს ყურადღება არ მოაშოროს, ზრუნვა არ მოაკლოს, თორემ კაცმა ასეთ დროს ოჯახზე გულის აყრა იცის.

* * *

ნამდვილი გულისტკენა მხოლოდ ქმარს ძალუძს, არცვინ მასზე ახლობელი არ არის და შენი ყოველდღიური სულიერი მდგომარეობა ისე არავისზეა დამოკიდებული, როგორც ქმარზე.

* * *

ქორწინების მთელ მანძილზე შენი კაცით აღტაცება ძალზე მოსაწყენია, ამის ბოლო კი კისრის არეში რევმატიული ტკივილია.

* * *

არა, არ ვაპირებ იმის თქმას, რომ ქორწინება სამოთხეში მიმავალი გზაა. როგორც წესი, შენს თავს ეუბნები: არამც და არამც ცოლის მონობა არ მინდაო, მაგრამ ამას ვერ წაუხვალ, გარდაუვალია და ასეთ მდგომარეობაში ყოფნა წესრიგს აჩვევს ყველა მამაკაცს.

* * *

სანამ ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, შეუძლებელია ადამიანის გაანგელოზება მხოლოდ მოწოდებით თუ თხოვნა-მუდარით, სამაგიეროდ, გონივრული ძალდატანებით შესაძლებელია, რომ ვაიძულოთ მათ ერთმანეთის პატივისცემა.

* * *

კაცი ოჯახის თავჯალაბია, ქალი რომ თხოვდება, ის როგორც თავის ბედს, ისე ხედავს ქმრის ადგილს ამქვეყნად და იმის ცხოვრების წესს. ჩემი აზრით, ასეთი მიდგომა გამოირჩევა საღი აზრით და ამ მიდგომაშია მომავალი ბედნიერების საფუძველი, მაგალითად, ის თუ მანუფაქტურით ვაჭრობს, კათოლიკეა, ქალაქგარეთ ცხოვრება ურჩევნია. გოლფს თამაშობს, დასვენება ზღვაზე მოსწონს, შენ სწორედ ამიტომ მისდევ ცოლად. მიიღე და შეიყვარე ეს ყოველივე. არც თუ ისე ძნელი საქმეა.

* * *

არ მესმის, რა ამეგობრებს ქალსა და კაცს. თავიანთი ბუნებისდა მიხედვით კაცთ არცროდის ქალთან მეგობრობა არ უნდათ. მეგობრობა შემთხვევით ჩნდება, ხანისად იმის გამო, რომ კაცი გატაცებულია მავანი სხვა ქალით და მასზე ლაპარაკი სურს. ქალები კი ბევრად უფრო არიან განწყობილნი კოლეგებთან სამეგობროდ და სიამოვნებით თანაგრძნობით ისმენენ იმათ სასიყვარულო ამბებს. შემდგომ ასეთი „მეგობრული“ ურთიერთობა მტკიცდება და როგორც პიროვნებები, ისე უყურებენ ერთმანეთს. ამ ამბავს ცხარე საწებელივით აუცილებლად თან ახლავს სექსის მსუბუქი სურნელი.

* * *

გასაფიქრებლადაც კი ძნელია, თურმე რა ცოტა რამ გცოდნია იმ ადამიანზე, რომელთანაც ერთად ამდენ ხანს იცხოვრე ერთ ჭერქვეშ.

* * *

მხოლოდ სიყმაწვილეში და არცროდის მერე არ გიჩნდება ეს სრულიად განსაკუთრებული გრძნობა: კაცთან მეგობრობით გატაცება და სულიერი სიახლოვის შეგრძნება. ბევრი რამ ამ ამბიდან, რასაკვირველია, ილუზიაა, ოღონდ უმშვენიერესი ილუზია და გეჩვენება, რომ ყოველმა ქალმა უნდა განიცადოს თავის ცხოვრებაში ასეთი პერიოდი. მერე, ალბათ, გაგეცინება შენს თავზე და იტყვი: „ღმერთო, რა სულელი ვიყავი!“

* * *

მეგობრების დაყოფა ორ კატეგორიად შეიძლება: ერთნი უცაბედად ჩნდებიან შენს გარემოცვაში და მხოლოდ მცირე ხანს ხდებიან შენი ცხოვრების ნაწილი, ვით ძველი ბაფთებიანი ცეკვისას. ისინი ისე სწრაფად და უკვალოდ გაიქროლებენ შენს ცხოვრებაში, როგორც შენ იმათსაში. მაგრამ არსებობენ სხვებიც, არცთუ ისე მრავალრიცხოვნად, იმათთან ნამდვილი ურთიერთმეგობრობა გაკავშირებს, ისინი მთელი ცხოვრება თან გდევენ. მე ვიტყოდი, რომ ამგვარი მეგობარი, ალბათ, შვიდი ან რვა თუ მყავს. რაც შეეხება ქალთ, ისინი პირველ კატეგორიას უფრო მიეკუთვნებიან.

დეტექტივებსა და დანაშაულზე

ყოვლის უკეთესი დეტექტივი შემთხვევაა, შემთხვევა ცხოვრებიდან. შემთხვევა ავტორის იმ ფანტაზიაში, რომელიც ცხოვრებაში მომხდარ შემთხვევას ემყარება.

* * *

კაცი, რომელიც თვითმკვლელობით იმუქრება, არცროდის ამას არ ჩაიდენს.

* * *

პირველი მკვლელობა, ალბათ, მძიმე ეჭვებს მოსდევს. მერე მხილების მუქარა ჩნდება, ამიტომ მეორე მკვლელობა უკვე უფრო ადვილდება. მესამე კი, მაშინ ხდება, თუ დამნაშავეს მცირე რამ ეჭვი ებადება. ასე თანდათან იღვიძებს დამნაშავეში „მხატვრის სიამაყე“ – კაცის კვლა ხომ ხელოვნებაა, საეჭვოა, რომ მკვლელი ამით სულ მეტ და მეტ კმაყოფილებას არ გრძნობდეს.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №244-256

ეკა ბესელიას მალე დაიჭერენ?

ექსპერტი გია აბაშიძე ოპოზიციონერის დაკავებას აანონსებს

(პირველი გვერდიდან) აღსანიშნავია, რომ 22 იანვარს სკანდალით დაინტერესდა ნაცების ერთ-ერთი სააგენტო itv.ge „მედიაში უკვე გაჟონილ ინფორმაციაზე დაყრდნობით“, „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელმა ზაზა ოქუაშვილმა საქმის სასამართლოში მოგვარების მიზნით, ქრთამის სახით, სადაო თანხის 10 პროცენტი გადაიხადა, რომელიც 30 მილიონიდან სამი მილიონია. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მზია თოდუამ კი, რომელიც ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი და „ქართუს“ ყოფილი იურისტია, ბესელიას წინაშე ვალდებულება აიღო, რომ სასამართლო ზაზა ოქუაშვილის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანდა და 30-მილიონიანი დავაც საქართველოს ბანკთან ამით დასრულდებოდა. თუმცა, თოდუამ, რომელიც პარალელურად, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის თავმჯდომარეცაა, საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო... იმის გამო, რომ ბესელიამ და ივანიშვილის მოსამართლე თოდუამ ოქუაშვილს პრობლემა ბოლომდე ვერ გადაუჭრეს, მან ქრთამის უკან დაბრუნება მოითხოვა. „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელმა გაცემული თანხის მხოლოდ ნაწილი მიიღო და ქრთამის უკან მიტანის პროცესი ფირზე ჩაიწერა, გვამცნო itv.ge-მ.

საზოგადოებაში, ყველას თუ არა, ნაწილს ახსოვს შპს „ელიზისა“ და „ომეგას“ დავა, რომელიც წარმოებდა 1997 წელს. მაშინდელი პრესა ბევრს წერდა ამ საქმეზე. მესმის, რომ მილენიალთა თაობას ეს არ ახსოვს. იქ ერთი პიკანტური დეტალიც იყო. კერძოდ, ოქუაშვილი სასამართლოსგან ითხოვდა უკანონო ფარული ჩანაწერის ლეგალიზაციას და პირველი ქრთამიც მზია თოდუას ოქუაშვილმა სწორედ 1997 წელს გადაუხადა, როცა სასამართლოში „ელიზის“ საქმის განხილვა მიმდინარეობდა.

მაისში, ასევე „ფეისბუქით“ გამცნეთ ტელეკომპანია „მაესტროს“ საკმაოდ ჩახლართული ისტორიის ერთი საინტერესო მომენტი, როდესაც სააკაშვილის რეჟიმმა მაკა ასათიანის მიერ ტელეკომპანიის დაფინანსების შეწყვეტა ყველაზე ეფექტურად სცადა და „იურიდიულად“ პრობლემები შეუქმნა ასათიანების ოჯახის ბიზნესს — „მერსედეს-ბენცის“ წარმომადგენლობას საქართველოში. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ასათიანმა არსებული დავა ორივე ინსტანციაში მოიგო. რჩებოდა მესამე ინსტანცია — უზენაესი სასამართლო. როგორც ჩანს, ამ საქმის მოგება იმდენად პრინციპული იყო ნაცებისთვის, რომ დაიწყო მათი არასამთავრობოების და მედიის ორგანიზებული შეტევა საზოგადოებრივ აზრზე. საქმეში ჩაერთო ეკა გიგაურის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“. გამოქვეყნდა კვლევა „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“, სადაც ასათიანების ოჯახის საკუთრებაში არსებული შპს „აკას“ საქმე განიხილებოდა და ოჯახი დადანაშაულდა სასამართლო სისტემაში კორუფციულ გავლენებში. ცხადია, ეს კვლევა გვარამიას „რუსთავი-2“-მა ინტენსიურად გააშუქა. უზენაესში ასათიანმა დავა წააგო — მითითებებით დაბრუნდა ხელახლა განსახილველად სააპელაციოში. სარწმუნო წყაროებმა კი მითხრეს, რომ ასათიანის წაგებას („ყველაფრის მოკვარახჭინებას“) ხელი თავად ქალბატონმა ეკა ბესელიამ მოჰკიდა და გაიმარჯვა კიდეც — „ქრთამმა კიდევ ერთხელ გაანათა ჯოჯოხეთი“.

ნაცების ზემოხსენებული სააგენტო itv.ge 25 მაისს წერდა, „რომ 2012 წელს ეკა ბესელიამ ბიზნესმენ ილია დალაქიშვილთან გარიგება დადო. როგორც ირკვევა, ეკა ბესელია ილია დალაქიშვილის ახლობელს თურქეთში, ტრაპიზონის ერთ-ერთ კაფეში შეხვდა და ქრთამი აიღო იმისთვის, რომ ილია დალაქიშვილი პოლიტმატიმართა სიაში შეეყვანა“.

დაბოლოს, რაც დასაწყისში დავწერე — ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, პროკურატურაში უკვე დასრულდა ბესელიას კორუფციული საქმეების მოკვლევა და მალე დაიწყება გამოძიება“...

ხელოვნურად აჟიტირებული „ლელო“ და „გასაქცევად“ გამზადებული „ოცნება“

ამ ბოლო დღეებში პოლიტიკური ტაიმაუტი ავიღე — ჯერ ერთი, წინასაახალწლო დღეებია, მეორეც, მოზარდების სუიციდმა იმდენად გადაფარა ყველაფერი, ადამიანს სურვილიც გეკარგება, ამ ფონზე პოლიტიკურ სიბინძურეებზე ისაუბრო. თუმცა, დრო მაინც არ ჩერდება — თან თითოეული დეტალი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი ქმნიან ერთ მთლიან ჯაჭვს ქართულ რეალობაში.

* * *

რამდენიმე დღის წინათ პოლიტიკური მოძრაობა „ლელოს“ ყრილობა გაიმართა. შეიკრიბნენ, ისაუბრეს, დაგვაბოლეს... სხვათაშორის, საკმაოდ პომპეზური თავყრილობაც გამოუვიდათ (ფული იყოს და...), მაგრამ, ეს არ არის მთავარი — მთავარია, რა ძალებით აპირებს „ლელო“ „ოცნებისგან“ საქართველოს ხელისუფლების გაწმენდას და რამდენად არ ყოფილა მოულოდნელი ყრილობაზე „ძველი ახალი“ სახეების გამოჩენა...

არც ის არის გასაკვირი, დღეს პოლიტიკას, როგორც ჯავშანს, ათას „პოლიტიკურ ღობეზე“ გადამსტარი, ან თავის დროზე ანგაჟირებული (ზოგიც „ოცნების“ წყალობით) და დღეს თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ეშურებიან...

პოლიტიკურად ბოლომდე გაკოტრებულ „მემარჯვენეებისგან“ რა უნდა გამიკვირდეს, მაგრამ, ვერ წარმომედგინა, დავით უსუფაშვილი, რომელიც ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი პოლიტიკოსი, თავის „შენების მოძრაობიანად“ იქ აღმოჩნდებოდა. ეტყობა, ფული რას არ გააკეთებინებს ადამიანს!!!

არ ვიცი, ვის ელანდება „ლელო“ „ოცნების“ საპირწონედ, მაგრამ, თავად „ლელო“ „ნაცმოძრაობასთან“ და მის ნარჩენებთან მწყრალად რომ არ არის, ეს აქედანვეც ჩანს... სხვათაშორის, არც „თიბისი ბანკი“ ყოფილა წინა რეჟიმის დროს თამაშგარე მდგომარეობაში, პირიქით, კარგადაც მოღონიერდა...

ეტყობა, დღეს ასეთია დავალება.

დიახ, დავალება, რადგან ასეთი წარსულის პერსონები (უპირველესად **მამუკა ხაზარაძეს** ვგულისხმობ) ქართულ პოლიტიკაში დავალების და განსაკუთრებული გარანტიების გარეშე არც შემოდიან — უბრალოდ, კისერს წაიტეხენ, რადგან, ერთი ადგილი ყველას „დასვრილი“ აქვს!

* * *

პოლიტიკაში (ყოველ შემთხვევაში, ქართულ პოლიტიკაში) უკვე კარგად ჩახედულმა რამდენიმე პიროვნებამ თავდაჯერებულად მითხრა, რომ ივანიშვილის საქმე დამთავრებულია.

როგორ, რანაირად? — ვიკითხე გაოცებულმა.

— ამერიკა უკვე ღიად აკრიტიკებს და პირდაპირ ანიშნებს, რომ უნდა წავიდეს პოლიტიკიდან. ალბათ, მისი შემცვლელიც ნანახია. თან, ძალიან ცუდი მდგომარეობაა უმრავლესობაში — შეიძლება, ხუხულასავით დაიშალოს ისედაც მყიფე გაერთიანება... ივანიშვილს, მგონი, არც ვადამდელი არჩევნები უშველის, მაინც ვერ გაიმარჯვებს...

მე არ ვიცი, ვინ გადაწყვიტა ივანიშვილის პოლიტიკაში ყოფნა-არყოფნა, ან რატომ უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, როცა ამის არც რეალური წინაპირობები არსებობს და არც არაფერს შეცვლის პოლიტიკური კონფიგურაციის თვალსაზრისით, მაგრამ, ერთი რამ დანამდვილებით ვიცით:

ვინც ივანიშვილი შემოიყვანა პოლიტიკაში, იგივე იზრუნებს სწორედ მაშინ გაიყვანოს, როცა ამის აუცილებლობას იგრძნობს!

მეორეც, მას პოლიტიკაში შემოსვლისას აუცილებლად ექნებოდა ხელშეუხებლობის გარანტია, როგორც ეს თავის დროზე ჰქონდათ მის წინამორბედებს — **ედუარდ შევარდნაძეს** და **მიხეილ სააკაშვილს**.

რამდენადაც გვახსოვს, შევარდნაძემ სამთავრობო აგარაკზე გაატარა ცხოვრების დარჩენილი წლები ისე, რომ ბუზიც ვერავინ აუფრინა და სამუდამო განსასვენებელიც იქ პოვა. ხოლო სააკაშვილი, რომლის რეჟიმის გასამართლებასაც ითხოვდა საზოგადოება 2012 წელს, ჯერ ოდესის გუბერნატორად მოგვევლინა, მერე კი რევოლუციებით იმუქრებოდა... თან „მსოფლიო მოქალაქედ“ იქცა, სადაც უნდა და როგორც უნდა, ისე დასეირნობს — კარგს ჭამს, კარგს სვამს და ისევ საქართველოს ბელადად დაბრუნებაზე ოცნებობს!

რა ხდება ივანიშვილის შემთხვევაში?

ივანიშვილი საჭირო დროს შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, ისიც გარკვეული დავალებით და სათანადო გარანტიებით.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხი უკმაყოფილოა დღევანდელი ხელისუფლების „ნაღვაწით“, რაც პირდაპირ აისახება ივანიშვილისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე, მაინც ჯერ იქამდე არ მისულა საქმე, რომ „ოლონდ ივანიშვილი არა“ — ლოზუნგები ვაფრიალოთ!

საქმე იმაშია, რომ ხალხი ვერ ხედავს მის საპირწონეს, ჯერჯერობით ვერც „ნაცების“ თუ „ევრონაცების“ და ვერც ეგრეთწოდებული გაერთიანებული ოპოზიციის სახით. ამ თვალსაზრისით, „ლელო“ სათვალავში ჩასაგდებიც არ არის!

დავუშვათ, დღესვე დღის წესრიგში დადგა ივანიშვილის პოლიტიკიდან ჩამოშორების საკითხი და მისმა მფარველებმა მიიღეს ეს გადაწყვეტილება, რა იქნება ამის შემდეგ? ნუთუ ივანიშვილის პოლიტიკიდან გაყვანა (რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს ეს) იქნება უკეთესი მომავლის დასაწყისი ქვეყანაში?

ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ივანიშვილი შეუცვლელია, უბრალოდ, ჩვენ თითიც კი არ გაგვინძრევია, რომ მისი შემცვლელი პოლიტიკური ძალა ვიპოვოთ. აქ ახალ პოლიტიკურ ერთობაზეა საუბარი და არა „ლელოსნაირ“ კონგლომერატზე, რომელიც არანაირ ხეირს არ მოუტანს ქართულ სახელმწიფოს!

მიუხედავად იმისა, რომ ქართული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკური ძალის ფორმირებისთვის ადგილი თავისუფალია, ჯერჯერობით ეს აუცილებლობა ცარიელ საუბარს და სურვილს არ გასცილებია...

P. S. უბედურება იმაშია, რომ უკვე 30 წელიწადია ერთ ადამიანზეა ჩამოკიდებული ქვეყანა და ამ მოჯადოებული წრიდან ვერა და ვერ გამოვედით!

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი



ზოთა ზოიძე

ახალთახალი ოდა თბილისს

თბილისი ჩემთვის არის მაღალი
გილიოტინა და ეშაფოტი.
გალაკტიონი

1
თბილისში ჩავდივარ სტუმრის სტატუსით.
თბილისი დედაქალაქია ტატოსი;
თბილისი არ არის დიდი სახლები,
თბილისია დიდი სახელები;

რომლებსაც მოჰყავთ მზე და ნათელი,
მაისი, ივნისი და ივლისი, –
პლატონის და სოკრატეს ათენი,
ტატოს და ფიროსმანის თბილისი.

2
ზოგს რომ ჰგონია ღვინის სმა,
ზოგსაც ჰგონია სახაშე,
თბილისია ჩვენი თილისმა,
მესხის ფინტები და თამაში.

თბილისი არ არის დალაქი,
არც მეფე, არც მეფისნაცვალი,
თბილისია ფიროსმანის ქალაქი,
მისი აკლდამა და საძვალე.

გალაკტიონი – ფანჯრიდან,
მაჩაბელი ხიდიდან გადახტა,
თბილისია ჭადრაკის მაგიდა,
ნონას და მაიას სატახტო.

3
ახლა ხოხობსაც მოკლავენ,
თბილისი ჰგონიათ ჩახოხბილი,
თბილისმა შეიწირა ნიკალა,
სარდაფში პირჩაღმა ჩამხობილი.

გრანელი არ იყო ბარელი,
გრანელი არ იყო მთიელი,
თბილისმა გასწირა გრანელი,
ვითარცა გადამთიელი.

ჩაუცმელ–დაუბანელი,
მთელი დღე უჭმელ–უსმელი,
თბილისმა გასწირა გრანელი,
გაანაწყენა რუსთაველი.

თბილისი არ არის მეწველე,
მით უფრო ირმის საწოლი,
უყვართ ირმების ნაწველი,
ირმის მწვადი და მაწონი.

4.
მე სტუმარი ვარ თბილისში,
ბათუმში – მისი მენესტრელი,
დიდი ვალი მაქვს თიბისის,
თვალს მარიდებენ მინისტრები.

თბილისში მე ვარ სტუმარი,
არც სახლი მაქვს და არც ბინა,
არა მაქვს თავსასთუმალი,
საკუთარ ბალიშზე არ მძინავს.

თუ კი უფალი მაღირსებს,
თუ არ მოვკვდები და კიდევ,
თბილისის აპოკალიფსებს
მოუსავლეთში გავყიდი.

რამდენიც უნდათ მედაონ,
მე ვიტყვი გულისფანცქალით,
თბილისი მაინც დედაა
და არა – დედინაცვალი.

კაცობა არ მწამს იმისი,
ვინც სცადა მისგან განდგომა,
ქრისტეშობაა თბილისი,
ჯვარცმა და მერე აღდგომა!

5.
თბილისი არ არი კაფე-ბარი,
სახინკლე არ არი თბილისი,
თბილისია ქართული საუბარი,
მე გარანტი ვარ იმისი.

თბილისმა ჩააბარა გამოცდა,
საჩაიე დავარქვი ჩაიხანას,
ყველაფერი მაშინ გამოჩნდა,
როცა დრომ შარვალი ჩაიხადა.

ღმერთმა გვისმინა მაღალმა,
ჩვენი ჭირი წაიღო არღანმა,
თბილისი დიდი ქალაქია,
თბილისი დედაქალაქია.

6.
შთაგონებისთვის მეყოფა,
თბილისის მზე და ირისი,
თბილისი – ანა დედოფლის,
გოგი ცაბაძის თბილისი.

თბილისი – თამაზ ჭილაძის,
ნოდარ დუმბაძის თბილისი,
მიყვარს თბილისის სინაზე,
განსაკუთრებით – ივლისი.

მე მიყვარს როცა აჩვენებს
და ლაპარაკობს თბილისი,
თბილისი თენგიზ არჩვაძის
რევაზ ლაღიძის თბილისი.

მიყვარს თბილისის მოყვასი,
სიმღერა მიყვარს იმისი,
თბილისი ინგოროყვასი,
ბორის პაიჭაძის თბილისი.

7.
მეტაფორა ბაგეზე მადნება,
როგორც ფანტელი კონსპექტის,
თბილისია რუსთაველის ჭადრები,
რუსთაველის თეატრი და პროსპექტი.

თბილისია დიდი ქალაქი,
მისი რექტორია მელიქი,
თბილისი მე თვითონ დავარქვი,
მე თვითონ დავალაიქე...

უბრალოდ თქმული ჭეშმარიტება

დავით ასკურავა

ორი წლის წინათ გამოიცა ქართველი მწერლის დავით ასკურავას ლექსების კრებული „სიბრძნის წვეტები“. მკითხველმა გაიკვირვა პროზაიკოსის პოეზიაში ასე ლაღად განავარდება. ტირაჟი უცებ გაიყიდა, რამაც ავტორს ლექსების სულ ახალი კრებულის გამოცემა აფიქრებინა. ახალ კრებულში, რომლის სათაურად ავტორს შერჩეული აქვს „უბრალოდ თქმული ჭეშმარიტება“, შევა მწერლის მხოლოდ და მხოლოდ ერთტაეპიანი ლექსები.

დღეს გთავაზობთ რამდენიმე ლექსს მომავალი წიგნიდან.

ნამდვილად ბევრ დროს და გარჯას ითხოვს,
სანამდე აზრი სიტყვად ითქმება,
მერე კი სიტყვა დაიხვეწება, დადგება,
სიბრძნედ დაიწრიტება,
მე კი საჩუქრად მინდა მოგიძღვნათ
უბრალოდ თქმული ჭეშმარიტება.

* * *

სიხარულის წყაროსთვალი
ნუ იქმთ, ერთად არ დალიოთ,
ზომიერად მოიხმარეთ,
შეინახეთ სახვალიოდ.

* * *

სამყაროს დასაწყისში ხარ,
სულით და გულით იხარი.
ფიქრებით დაღლილს ბნელ ღამეს
რომ გაგინათდეს ცისკარი.

* * *

ახლა არ კვნესის გული დაჭრილი,
ან საამისო ძალა სად არის.
სულ არ იგრგვინვებს, სულ არ იწვიმებს,
გადაიღებს და დადგება დარი.

* * *

ჟამი დაგვიდგა ფრიად ბანძი და
ყოფა გაგვიხდა პოლიტიკური,
ლხენას ვინ ჩივის, როცა სამყოფი,
ჩვენში, ყმაწვილებს არა აქვთ პური.

* * *

დილა იყო მშვიდი, ნაზი,
მე კი სევდა მომეძალა,
უფალს ვთხოვე: სილამაზე
რომ შევიგრძნო, მომეც ძალა.

* * *

გული თუ მართლა გულობს,
მიკვირს რარიგად უძლებს
ადამიანურ ჭმუნვებს,
შვილს - ხელმოცარულს, უძღებს.

* * *

ცხოვრება ჩემი – ომი ფიცხელი,
მას არ უხდება ვაი და ვიში.
ზოგჯერ უფალთან ისე ახლოს ვარ,
გაღმერთკაცების შემაკრთობს შიში.

* * *

იქნებ ფიქრობ, სხვა რომ არა,
უკეთესად იქნებოდი,
სავსე რომ ხარ, მე რომ არა, უფრორე აივსებოდი.
იმის მოსვლას, ჩემს წახდენას,
ეშმაკებთან არ იბჭობდი,
შენს ადგილას ვიფიქრებდი,
ცოტა ჭკუას მოვუხმობდი.

* * *

ასე სულელი რომ არის,
არ ვიცი, რას მივაწერო,
ტვინი სულაც არ აწუხებს,
ოდნავ ერხევა კენწერო.

* * *

ბევრია ქებას რომ მიძღვნის,
ტურფა სიტყვების მთქმელი.
იმათზე დიდად მეტი მყავს
ჩუმად სამარის მთხრელი.

* * *

გახსოვს?! – სტუმრად იყავ ჩემთან,
რძიან სულგუნს ჭამდი ხმელად,
შავ ქლიავის არაყს სვამდი,
აყოლებდი კორკიმელას,
აბა მე რას მივხვდებოდი,
რა სიბილწეს ხლართავს მელა.

* * *

დევგმირთან შებმა-შერკინება სახელს შეგმატებს,
თუ დაამარცხებ, გაიმარჯვებ, გაგხდის ზეციურს,
ქონდრისკაცებთან გამარჯვება რა გმირობაა,
თუ დამიჯერებ, დაგაკნინებს, ვერ გაგხდის ძლიერს.

* * *

სულ დამიმცროვეს სამშობლო,
ვედარ ფრენენ არწივები,
სულო, როგორ შეეგუე,
გულო, რად არ გაცივდები...

* * *

გადამიჯეგეს ჯეჯილი, ამომიყარეს ყანა,
შვილად ნაზარდი ვენახი სულ თხებმა შემიჭამა,
ამიმიძირკვეს ხეხილი, ვარდიც კი მომითხარა,
ამდენი უბედურება, ერთისთვის, აღარ კმარა?

* * *

ისეთი რამე აკეთე,
გრძნობებს რომ გადაგიოკებს,
ეცადე, ისეთს ნუ იზამ,
ყოფას რომ აგიწიოკებს.

* * *

თუ დამიჯერებთ ახლა,
მწარე ნატვრა მაქვს ერთი:
სამშობლოს მტრებთან ბრძოლას
შეგვაძლებინებს ღმერთი?

* * *

შური, მტრობა ვერ დაძლიე,
ავი კარგთან ვერ გაჰყარე,
მადლი რომ ჰქმენ, ენებავს მცირე,
თან მარილი მოაყარე.

წუხელ იმდენი ვიომე ფიქრთან,
დილაზე, ალბათ ზანტად ვიქნები,
ნუმც ვყოფილვარ და ნუმც მიცხოვრია,
თუ არ მექნება მწველი ფიქრები.

* * *

გონებაშეზღუდულია,
ვერ ჩაწვდები მის საქციელს,
რუსი ქლუხორს კი არა და,
მეცილება მისაქციელს.

* * *

რუსისგან მტრობა არ მიკვირს,
ტყუილად იჩემებს დათვობას?!
მაიმუნ იყოს უჯობნავ,
ადრე მიაღწევს კაცობას.

* * *

ჩვენ ლოდინში ვართ, სადგურში ვზივართ.
მოთმინებით ვართ, ისე კი არა.
სინამდვილეში, მატარებელმა,
დიდი ხნის უკან ჩამოიარა.

* * *

არავინ იცის, ვის რა ერგება,
გარიგებისას, ყოფით ხურდაში,
ზოგს ნეტარების მწვერვალზე დასვამს,
სხვას გადაისვრის ღელე-ღურდაში.

უჩინმაჩინის რომ მქონდეს ქუდი,
ხომ გავიგებდი ვინ არის ქურდი?
თუმცა, რად მინდა უჩინმაჩინი?
სულ ყველა ქურდობს, ვისაც აქვს ჩინი.

* * *

ჩვენ რომ ახლა ჟამი გვიდგას...
არც ხვნისა ვართ, აღარც თესვის,
ამ წუნკლებს რომ დავუჯერეთ,
თქვი, გვეკუთვნის უკეთესი?!

* * *

ზოგიერთ ნათქვამს, ვფიქრობ,
აზრი არ მოსდევს ბრძნული,
რომელმა ხეპრემ ბრძანა,
არ ბერდებაო გული?

ფრიად მიკვირს, სად ისწავლეს
სიტყვის ამდაგვარად ხლართვა,
რომელ მზაკვარს დაესესხნენ,
ქვეყნის ხელუკუღმა მართვას?!

კაცი რომ კვერავს რკინას,
ანდა რომ ებრძვის მიწას,
აღმატებულად სხვებზე,
რა ვქნა, ის კაცი მიყვარს...

◎ ტრადიცია

მედიის რჩეულნი

სპორტის ჟურნალისტთა გამოკითხვით წლის საუკეთესო სპორტსმენის დასახელებას 1964 წელს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ჩვენს კოლეგათა რჩეული სლავა მეტრეველი გახდა. წლევანდელ გამოკითხვაში სპორტის 75 ჟურნალისტი მონაწილეობდა. ხმათა დიდი უმრავლესობით სეზონის სპორტსმენად სახელოვანი ძალოსანი, 2016 წლის რიოს თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს და ევროპის ოთხ-ოთხგზის ჩემპიონი, მრავალგზის რეკორდსმენი ლაშა ტალახაძე ზედიზედ მეოთხედ დასახელდა. მან 335 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ მსოფლიოს ჩემპიონ გენო პეტრიაშვილს (თავისუფალი ჭიდაობა) 131 ქულით გაუსწრო.

საზეიმო საღამოზე ძალოსნებს სრული ტრიუმფი ჰქონდათ, რადგან სავსებით დამსახურებულად საუკეთესოებად ძალოსანთა ნაკრები და მისი თავკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე მიიჩნიეს. ქალთა შორის საუკეთესო იყო ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, 23-წლიანებში კი კონტინენტის პირველობის გამარჯვებული ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი.

ნომინაციებში საუკეთესოები

სპორტსმენი ვაჟი: 1. ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა, 335 ქულა), 2. გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, 204), 3. ლუხუმ ჩხვიმიანი (ძიუდო, 204); **სპორტსმენი ქალი:** 1. ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო, 166), 2. ნინო ოძელაშვილი (სამბო, 67), 3. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, 62); **ახალგაზრდა სპორტსმენი:** 1. გოგა ბითაძე (კალათბურთი, 130), 2, ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო, 53), 3. ლუკა მაისურაძე (ძიუდო, 30); **მწვრთნელი:** 1. გიორგი ასანიძე (ძალოსნობა, 100), 2. გიორგი იანტბელიძე (თავისუფალი ჭიდაობა, 56), 3. რევაზ ჩომახიძე (წყალბურთი, 30); **ნაკრები:** 1. ძალოსანთა ნაკრები (79), 2. წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები (55), 3. თავისუფალი ჭიდაობის ნაკრები (45).

ასოციაციამ წლის განმავლობაში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის სპორტის ჟურნალისტებიც დააჯილდოვა. რჩეულთა შორის არიან: **ნინო თვალავაძე** (რადიო „ჯაკოს“ ჟურნალისტი, ეროსი მანჯგალაძის სახელობის პრემია), **სოლომონ გულისაშვილი** (ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემია), **გიგა გვენცაძე** (ტელეჟურნალისტი, კოტე მახარაძის სახელობის პრემია), **ზურაბ თალაკვაძე** (სპორტის ჟურნალისტთა ასოციაციის გენერალური მდივანი, ნუგზარ შატაიძის სახელობის პრემია, ზაზა ფაჩულიაზე დაწერილი წიგნისთვის), **დემიკო ლოლაძე** (გურამ თიკანაძის სახელობის პრემია), **თენგიზ პაჭკორია** (მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემია).

ლექსო ცინცაძე

◎ სეზონის ფინიშზე

უზბეკეთიდან - ჰოლანდიისკენ

შოთა არველაძე უზბეკეთის სუპერლიგის 2019 წლის სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. ქართველი სპეციალისტი იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ გამოარჩია.

ჩვენებურის აღიარება მოულონდელი არ ყოფილა, რადგან მისი ხელმძღვანელობით „ფახთაქორმა“ ტრიპლეტი შეასრულა (ჩემპიონობა, თასი და ლიგის თასი), ხოლო ჩემპიონატი უდიდესი უპირატესობით მოიგო — უახლოეს მდევარს 20 ქულით აჯობა. ამასთან, სეზონის მიმდინარეობისას შოთა სუპერლიგის თვის საუკეთესო სპეციალისტად რამდენჯერმე ცნეს.

„ძალიან ვამაყობ, რომ ამ ჯილდოს მოგება მოვახერხე, შესანიშნავი დღეა“, — დაწერა ქართველმა თავკაცმა სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიური მედიის მიერ გავრცელებული ცნობით, არველაძის კანდიდატურა არნემის „ვიტესის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე განიხილება.

გიორგი შოთაძე

◎ მადლი

მიბაძეთ იოზილს!

„არსენალის“ ნახევარმცველმა მესუთ იოზილმა წლეულს სხვადასხვა ქვეყანაში 219 ბავშვის ოპერაცია დააფინანსა. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში დაწერა.

„219 ბავშვის ოპერაცია წარმატებით ჩატარდა, თუმცა, კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. როცა მე და ჩემი მეუღლე დავქორწინდით, მაშინ ვთქვით, რომ 1000 სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ოპერაციას დავაფინანსებდით. დიდი მადლობა ექიმებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ბავშვებს გვერდით დაუდგა. 2020 წელს კიდევ ბევრი სიცოცხლე უნდა გადავარჩინოთ“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტის სიძემ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წყალხტომა

საგზურისთვის იბრძოლებს

20 გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა წყალმხტომელთა საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც ვაკის საცურაო აუზმა უმასპინძლა. მედლები სამ ასაკში გათამაშდა. განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა პაექრობები უფროსებში, თუმცა, ამჯერად წყალხტომაში დაბრუნებულ ჭოლა ჭანტურიას არ უასპარეზია. იგი გაისად 11-17 თებერვალს თორნიკე ონიკაშვილსა და სანდრო მელიქიძესთან ერთად მადრიდის გრან პრიზე მოსინჯავს ძალებს, ერთი თვის შემდეგ ეს სამეული და ირაკლი საკანდელიძე კიევის საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ, ხოლო 2020 წლის 21-26 აპრილს ტოკიოში ოლიმპიადის საკვალიფიკაციო მსოფლიოს თასზე მათგან საუკეთესო თამაშების საგზურისთვის იბრძოლებს.

კვარცხლბეკი

უფროსები

1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა. 1. სანდრო მელიქიძე (276.00), 2. თორნიკე ონიკაშვილი (260.40), 3. ირაკლი საკანდელიძე (242.65);

3-მეტრიანი ტრამპლინი. 1. ირაკლი საკანდელიძე (286.95), 2. სანდრო მელიქიძე (286.25), 3. თორნიკე ონიკაშვილი (281.25).

14-წლამდელები

1-მეტრიანი ტრამპლინი. 1. სანდრო ცხომელიძე (204.80); 2. კოკა საკანდელიძე (202.45); 3. გიორგი წულუკიძე (179.95);

3-მეტრიანი ტრამპლინი. 1. სანდრო ცხომელიძე (225.75); 2. გიორგი წულუკიძე (216.15); 3. კოკა საკანდელიძე (203.40).

14-წლამდელ გოგონათა შორის ორივე დისციპლინაში საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. თეკლა შარია (208.10 და 232.65); 2. მარიამ შანიძე (188.75 და 197.45); 3. სონია აბესაძე (83.56 და 98.75).

ლაშა დიდია

◎ 64

ქართული ჭადრაკის სათავეებთან

„ჭადრაკი კეთილშობილი თამაშია“ — ამბობდა **ფილიპ სტამა** (XVIII საუკუნე)

არჩილ ებრალიძე (1908-1960), საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი (1941), სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, თბილისის მრავალგზის ჩემპიონი (1934, 1935 და 1937), მსოფლიოს ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანის პირველი მწვრთნელი.

არჩილ ებრალიძის მიერ მსოფლიო ჩემპიონების — ლასკერის, კაპაბლანკას და ეივეს ფუნდამენტური ნაშრომების თარგმანებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ჭადრაკის განვითარებაში.

ბაუხერი



მორფი

სვლა თეთრებისაა

1. ef3 — h3

რომ განაგრძონ: 2. eh3:h7+ და შემდეგ 3. ლe2 — h5X. თუ ახლა შავები შეეცდებიან თავდაცვას kd7 — e8 სვლით, მაშინ ეს განამტკიცებს e6 მხედრის პოზიციას და მას გაბატონებული პოზიცია ექნება. ამის მაგიერ შავებმა ითამაშეს:

1. . . . h7 — h6

2. ლe2 — d2

ორ სვლაში შამათის მუქარით:

eh3 :h6+. ამის გამო იღუპება d7 — კუ.

შენიშვნა: პოლ მორფი — მე-19 საუკუნის მსოფლიოს უგვირგვინო ჩემპიონი (იმ დროს მსოფლიო ჩემპიონატები არ იმართებოდა). დაამარცხა ლონდონის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ადოლფ ანდერსენი 7:5:1:5 (1858, პარიზი).

მისი „ღრმად გააზრებული პოზიციური თამაში, მდიდარი ფანტაზია, ცეცხლოვანი კომბინაციები საყოველთაო აღტაცებას იწვევს“ — **ალექსანდრ ალიოხინი.**

არჩილ ებრალიძის გამარჯვებით დასრულდა საქართველოს IV ჩემპიონატი, რომელიც თბილისში 1941 წელს გაიმართა. მან 15 ქულა მოაგროვა 19 პარტიაში და უკან მოიტოვა კონკურსგარეშე მოასპარეზე ისეთი ცნობილი მოჭადრაკეები, როგორებიც იყვნენ აზერბაიჯანის მრავალგზის ჩემპიონი ვლადიმერ მაკაგონოვი — 14,5 ქულა და ვლადას მიკენასი (კაუნასი) — 14 ქულა, რომელიც დიდოსტატი1975 წელს გახდა.

ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის იმ დარბაზში, სადაც საჭადრაკო ხელოვნების საიდუმლოებებს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და მსოფლიოს ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი დაეუფლნენ, ახალგაზრდა თაობას ჭადრაკის სწორუპოვარი პროპაგანდისტი, მრავალი საინტერესო წიგნის ავტორი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი საჭადრაკო ამოცანების შედგენაში, ბატონი დავით გურგენიძე წვრთნის.

გთავაზობთ არჩილ ებრალიძის მიერ თარგმნილ ამონარიდს ემანუილ ლასკერის წიგნიდან „ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელო“ (1952 წ).

თამაზ შენგელია

თბილისის მთავრობის 2019 წლის ბოლო სხდომა

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის ბოლო – 43-ე მთავრობის სხდომა გაიმართა.

დედაქალაქის მერმა, პირველ რიგში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 42 წელი მიულოცა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

თბილისის მერმა დღევანდელი დღე ასევე ყველა იმ ქრისტიანს მიულოცა, რომელიც ქრისტეშობის დღესასწაულს 25 დეკემბერს ზეიმობს.

„დღეს ასევე, არის 25 დეკემბერი, შობის დღესასწაული. მინდა, მივულოცო ყველა ჩვენს თანამემამულეს, ჩემს მეგობრებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც 25 დეკემბერს აღნიშნავს შობის დღესასწაულს. მინდა, ყველას მშვიდობიანი დღეები ვუსურვო. სიკეთითა და სიხარულით, იმედით აევსოს ადამიანთა გულები ამ დღესასწაულს“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თამარ მეფის ხიდის პანდუსზე ტრანსპორტის მოძრაობა ხვალიდან იქნება შესაძლებელი.

თბილისის მერმა აქვე, მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანს დაავალა, მშრალი და ზაარბრიუკენის ხიდებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის თანამშრომლები სასწრაფოდ დაიბარონ, რადგან საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილში სამუშაოები არაჯეროვნად არის შესრულებული.

მისი თქმით, კომპანიამ საკუთარი ხარჯებით სამუშაოები თავიდან უნდა განახორციელოს.

თბილისის მერმა კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებული მოსახლეობის ფართებით დაკმაყოფილების საკითხზეც გაამახვილა ყურადღება. აღინიშნა, რომ „სვეტის“ დაუმთავრებელი მშენებლობების გაგრძელება 2020 წლის თებერვლიდან იგეგმება.

კახა კალაძის თქმით, დაზუსტდა და განისაზღვრა მერიის ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლებიც ამ პროექტების დასასრულებლად უნდა განხორციელდეს.

მომავალი წლის დასაწყისში კომპანია „M2“ სამშენებლო ნებართვებს მიიღებს.

„დღეს, კომისიის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე, თბილისის მთავრობა განიხილავს და საკრებულოს შესათანხმებლად გადაუგზავნის „სვეტის“ ყოფილი მშენებლობების დასრულების მიზნით, მერიის ხელშემწყობი ღონისძიებების ნუსხას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია სამშენებლო კომპანიასთან და ვვარაუდობთ, რომ დაახლოებით, 2020 წლის იანვრის ბოლოს ან თებერვალში მიიღებენ სამშენებლო ნებართვებს. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი ჩვენი სამსახურები, როგორც სატრანსპორტო, ურბანული, არქიტექტურის, გარემოს დაცვის სამსახური. ამ მჭიდრო თანამშრომლობით, თებერვალში უკვე შესაძლებელი იქნება უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება“, - აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ ადგილობრივი მცხოვრებლები და დედაქალაქის სტუმრები სადღესასწაულო ღონისძიებაზე მიიწვია. როგორც თბილისის მერმა განაცხადა, დედაქალაქში საახალწლო ღონისძიებები დღეს, 20:00 საათზე მთავარი ნაძვის ხის ანთების ცერემონიით გაიხსნება...

„მინდა დავპატიჟო ყველა – აბსოლუტურად ყველა, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა. მობრძანდით, ცოტა ხანი გვერდზე გადადეთ თქვენი პოლიტიკა. წამოიყვანეთ თქვენი შვილები, შვილიშვილები. თქვენც, მთავრობის წევრებსაც გეხებათ ეს“, – განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, 13 იანვრის ჩათვლით, 12:00-დან 00:00 საათამდე, პირველი რესპუბლიკის მოედანზე იფუნქციონირებს საახალწლო სოფელი; გაიმართება თეატრალური წარმოდგენები, კონცერტები და საბავშვო გასართობი ღონისძიებები.

დედაქალაქის მერმა ხაზი გაუსვა მწვანე სივრცეების შექმნის კუთხით გაწეულ სამუშაოებსაც.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება ბევრი მწვანე სივრცე შეიქმნას დედაქალაქში და მოვაწესრიგოთ არსებული; შევქმნათ ახალი საქალაქო პარკები, დავრგოთ ახალი ხე-მცენარეები. ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალი მწვანე სივრცეების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას“.

დედაქალაქის მერმა ასევე ისაუბრა ჯანდაცვისა და სოციალურ მთავარ მიმართულებებზე.

„ჩვენი პროგრამებით, სხვადასხვა მიმართულებით დაახლოებით 240 ათასმა ადამიანმა ისარგებლა. ეს იყო ოპერაციები, ერთჯერადი დახმარებები, სოციალურად დაუცველი ოჯახების მიმართ მხარდაჭერა და ა.შ. ჩვენ ამაზე არ გავჩერდებით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ რჩებიან ოჯახები, რომელთაც ჩვენი თანადგომა სჭირდებათ. ჩვენ გავაგრძელებთ მათ მხარდაჭერას იქამდე, ვიდრე ამის საჭიროება იქნება, თუმცა, ქვეყანა ისე უნდა განვითარდეს, რომ ნაკლებად გვყავდეს სოციალურად დაუცველი ოჯახები“, – განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტებიც შეაფასა. მან განსაკუთრებით გამოყო წარჩინებული სტუდენტების სასტიპენდიო პროგრამა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების პროგრამაც.

უთოვლო ზამთრის ზარალი

წელს თოვლმა დაიგვიანა. მიუხედავად იმისა, რომ დეკემბერი იწურება, საქართველოში ზამთრის ტურისტული სეზონი ჯერ არ დაწყებულა.

ნინო სვანიძე ოჯახთან ერთად ბაკურიანში დასვენებას აპირებდა, სასტუმროც დაჯავშნა, მაგრამ ისეთი მზე გამოვიდა, გეგმები შეცვალა და ბათუმისკენ გაუდგა გზას.

„ბავშვს სრიალი უნდოდა, მაგრამ 27-მდე თოვლი არ იქნებაო და ბათუმში წამოვედით. აქ ფაქტობრივად ზაფხულია, 23 გრადუსი. ადგილობრივები არ ბანაობენ, მაგრამ ერთი-ორი უცხოელი ცოტა ხნით ზღვაში შევიდა. მაინც ცივი წყალია, დიდხანს ვერ გაძლებ. ახლა აქ ვისვენებთ, ქალაქში დავდივართ, სასიამოვნოა, ზღვის ხმა რომ გესმის და სიმინდის გამყიდველის ყვირილი და სიმღერების ხმა არ ფარავს“, – ამბობს ნინო სვანიძე.

ფოტო, ზღვაზე მობანავე ხალხით, ბათუმში 23 დეკემბერსაა გადაღებული. მასზე უკრაინელი დამსვენებლები არიან აღბეჭდილნი.

ისინი, ვისი გეგმებიც ზამთრის კურორტებზეა აწყობილი, უახლოეს დღეებს იმედიანად ელიან. ბაკურიანში 27-ში უნდა მოთოვოს, ჯერჯერობით კი:

„ნოემბერში რომ მოთოვა, მას მერე არ უთოვია. ყინვა იყო და ამის გამო შენარჩუნდა თოვლი. მესტიაში მეტი თოვლიაო, ამბობენ, სხვაგან არსად თოვს, არც ბაკურიანში, არც გუდაურში. 20 დეკემბერს იწყებოდა ხოლმე ზამთრის სეზონი და ახლა, სავარაუდოდ, 30-ში დაიწყება. 10 დღე ჩავარდა. კურორტისთვის ეს ზარალია, რადგან ბევრს ჰქონდა დაჯავშნილი სასტუმრო“, – ამბობს სამთო-სათხილამურო კლუბ „ექსტრიმის“ მენეჯერი თინათინ რაზმაძე.

ერთ-ერთ სპორტულ სკოლაში კი გვითხრეს, რომ ამინდის გამო ჯერ ისევ თბილისში არიან, თუმცა რამდენიმე სპორტულმა სკოლამ მოსწავლეები მაინც წაიყვანა ბაკურიანში. მართალია, ჯერჯერობით ვარჯიში არ გამოსდით, მაგრამ „სუფთა ჰაერზე არიან“.

მთის კურორტების განვითარების კომპანიაში (ექვემდებარება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს) აცხადებენ, რომ თოვლის დაგვიანებით მიყენებულ ზარალზე ლაპარაკი ნაადრევია.

„ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა. შარშან ბაკურიანში ქარის გამო 17 დღე საბაგირო გათიშული იყო, მაგრამ მაინც 500-პროცენტიანი ზრდა გვქონდა ოთხივე კურორტზე“, – განაცხადა მთის კურორტების განვითარების კომპანიის პიარ-მენეჯერმა თამთა იაშაღაშვილმა.

მისივე თქმით, ხშირად, როცა სეზონი გვიან იწყება, გვიანვე მთავრდება. იყო შემთხვევები, როცა ზამთრის სეზონი აპრილის ბოლოს დასრულებულა.

ამინდის პროგნოზით, უახლოესი 25 დღის განმავლობაში ბაკურიანში, გუდაურსა და მესტიაში ძირითადად სუსტი თოვლი და მზე, რამდენიმე დღით კი შედარებით ხვავრიელი თოვაა გამოცხადებული.

თეა თოფურია

ადამიანის თავისუფლების ინდექსში საქართველო 162 ქვეყანას შორის 41-ე ადგილზეა

გამოქვეყნდა ადამიანის თავისუფლების ინდექსის 2019 წლის ანგარიში, რომელშიც კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველო თავისუფლების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით 41-ე ადგილს იკავებს.

ინდექსი 2017 წლის მონაცემებს ასახავს და მსოფლიოს 162 ქვეყანას ფარავს. 0-დან 10-მდე შკალაზე, რომელზეც 10 მეტ თავისუფლებას აღნიშნავს – ადამიანის თავისუფლების საშუალო რეიტინგი 2017 წელს 6,89 იყო. წინა წელთან შედარებით საშუალო რეიტინგი მცირედით შემცირდა (-0,01). 70 ქვეყნის მაჩვენებელი გაუმჯობესდა, ხოლო 88 ქვეყნის – გაუარესდა.

პირველ 10 ადგილს იკავებენ: ახალი ზელანდია, შვეიცარია, ჰონგ კონგი, კანადა, ავსტრალია, დანია, ლუქსემბურგი, ფინეთი, გერმანია, ირლანდია. საქართველო რეიტინგში 41-ეა. ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვთ იემენს, ვენესუელასა და სირიას.

პერსონალური თავისუფლების ნაწილში საქართველო 59-ე ადგილს იკავებს, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების ნაწილში – მე-12 ადგილს. ყველაზე დაბალი ქულა (4,1) საქართველოს სასამართლოს დამოუკიდებლობის ინდიკატორში ერგო.

მეტი თავისუფლების მქონე ქვეყნების ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი გაცილებით მაღალია (საშუალოდ $40,171), ვიდრე ნაკლები თავისუფლების მქონე ქვეყნებში (საშუალოდ $15,721).

ადამიანის თავისუფლების ინდექსი ადამიანის თავისუფლების ფართო საზომია. მეხუთე ყოველწლიური ინდექსი პერსონალური და ეკონომიკური თავისუფლების 76 ინდიკატორს იყენებს, როგორებიცაა:

- კანონის უზენაესობა,
- თავდაცვა და უსაფრთხოება,
- მოძრაობა,
- რელიგია,
- შეკრება და სამოქალაქო უფლებები,
- გამოხატვა და ინფორმაცია,
- იდენტობა და ურთიერთობები,
- მთავრობის ზომა,
- სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლება,
- საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება,
- კრედიტების, შრომისა და ბიზნესის რეგულაცია.

ანგარიში აშშ-ის კატონის ინსტიტუტის, ფრეიზერის სახელობის ინსტიტუტის, „ლიბერალეს ინსტიტუტისა“ და ფრიდრიხ ნაუმანის თავისუფლების ფონდის მხარდაჭერით გამოქვეყნდა.

საახალწლო ღონისძიებები თბილისში

25 დეკემბრიდან 13 იანვრის ჩათვლით თბილისის მოსახლეობას და დედაქალაქის სტუმრებს მერია პირველი რესპუბლიკისა და ორბელიანის მოედნებზე ეპატიჟება. ორივე მოედანზე ამ პერიოდში წარმოდგენილი იქნება საბავშვო-გასართობი მრავალფეროვანი ღონისძიებები.

პირველი რესპუბლიკის მოედანზე მოეწყობა საახალწლო ქალაქი, სადაც თოვლის ბაბუა უმასპინძლებს სტუმრებს: ჟონგლიორები და ილუზიონისტები გაართობენ პატარებს, დაიდგმება სხვადასხვა შოუ, წარმოდგენა და ა.შ. ასევე, გაიმართება საშობაო ბაზარი, რომელიც გააერთიანებს ორ პროექტს „დააგემოვნე თბილისის ქუჩებში“ და „თბილისური ბაზარი“. ყოველ საღამოს კი ქართული ესტრადის ვარსკვლავების, მუსიკალური ბენდების კონცერტები და დიჯეების წარმოდგენები გაიმართება.

რაც შეეხება ორბელიანის მოედანს, აქ მოსახლეობას განათებული ათონელის ქუჩა, ჩიჩილაკების ტყე და მანათობელი პლანეტა, თოვლის ბაბუის სახლი და ყინულის მოედანი დახვდება. აქაც, მთელი დღის განმავლობაში, პატარებისთვის საბავშვო გასართობი პროგრამები გაიმართება. ასევე, მოეწყობა საახალწლო გამოფენა-გაყიდვა, აგრო, ღვინის და სამეწარმეო ბაზარი. წარმოდგენილი იქნებიან სტარტაპ მარკეტი და კვების ობიექტები. გაიმართება სახალხო კარაოკე და დიჯეების მუსიკალური წარმოდგენები.

25 დეკემბერს რესპუბლიკის მოედანზე აინთება დედაქალაქის მთავარი ნაძვის ხე, ხოლო 31 დეკემბერს, 23 საათზე, გაიმართება გალა-კონცერტი, სადაც „ერთი-ერთში“ ღია ცის ქვეშ გადაინაცვლებს.

1 იანვარს, 21 საათზე, ამავე ლოკაციაზე, 2020 წლის პირველ საღამოს მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკალური პროექტი Max the Sax კონცერტს გამართავს. 5 და 10 იანვარს თბილისს პატარა უფლისწული გადაუფრენს. საჰაერო შოუები 20 საათზე დაიწყება. 6 იანვარს, 20 საათზე, გაიმართება ჯგუფის The Quintessence წინასაშობაო კონცერტი. საახალწლო ღონისძიებების დასკვნითი კონცერტი 13 იანვარს, 20 საათზე, დაიწყება. ამ ტერიტორიებზე აკრძალული იქნება პიროტექნიკის გაყიდვა და გამოყენება.

საშობაო მილოცვა და ბრექსიტი

გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა საშობაო მილოცვაში ყურადღება ჰარმონიისა და შერიგების მნიშვნელობაზე გაამახვილა. ელისაბედ მეორემ სატელევიზიო მიმართვის დროს განაცხადა, რომ 2019 წელი ბრექსიტის გამო დიდი ბრიტანეთისთვის რთული აღმოჩნდა.

93 წლის მონარქის თქმით, „პრობლემების მიუხედავად, რწმენითა და იმედით გადადგმული პატარა ნაბიჯებით სირთულეების დაძლევა შესაძლებელია“. ელისაბედ მეორეს საშობაო მიმართვა უინძორის ციხესიმაგრეში ჩაწერეს და ის გაერთიანებული სამეფოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა.

დიდ ბრიტანეთში 12 დეკემბერს ვადამდელი არჩევნები გაიმართა. შედეგად კონსერვატიულმა პარტიამ უმრავლესობა მოიპოვა. გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა პირობა დადო, რომ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირს 2020 წლის 31 იანვრამდე დატოვებს.

მინის ნაკვეთები ვერტმფრენით აკურთხეს

აშშ-ში, ლუიზიანის სამხრეთ-დასავლეთით, რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ მრევლის დალოცვის ახალი გზა იპოვა.

წმინდა ანას ეკლესიიდან რევ მეთიუ ბარზეირმა მიიღო ქაუ აილენდის სოფლის ტიპის კომუნის შეთავაზება და ვერტმფრენიდან 455 ლიტრამდე ნაკურთხი წყლით მრევლი და სასოფლო ნაკვეთები აკურთხა. ბარზეირის მრევლი დიდ ტერიტორიაზე ცხოვრობს, ამიტომ გადაწყვიტა, რომ ვერტფმრენით დალოცვა კარგი გამოსავალი იქნებოდა.

დაიგეგმა, რომ ყოველწლიურად ამ გზით 1200 ლიტრ ნაკურთ წყალს გადაასხამენ.

თბილისში, ცენტრში, რუსთაველის პრ. №,40/1, ქირავდება კეთილმოწყობილი, ყველანაირი საჭირო კომუნიკაციით უზრუნველყოფილი საოფისე ფართი (70 კვ.მ), I სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 577-75-11-77.

პონტიფიკოსმა მრევლს შობის დღესასწაული მიულოცა

რომის პაპმა ქრისტეშობის სადღესასწაულო მესა ვატიკანში აღავლინა. კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარმა ღვთისმსახურება ტრადიციულად წმინდა პეტრეს ბაზილიკაში ჩაატარა.



პაპმა ფრანცისკემ თავის სიტყვაში ყურადღება კონფლიქტებით, სტიქიური უბედურებებითა და ჰუმანიტარული კატასტროფების შედეგად დაზარალებულ რეგიონებზე გაამახვილა და პლანეტის ამ ნაწილში მცხოვრებ ადამიანებს სოლიდარობა გამოუცხადა.

„შობა შეგვახსენებს, რომ ღმერთს ყველა თანაბრად უყვარს, ყველაზე უარესებიც კი. მინდა, მივმართო ყველას – მიყვარხართ. ღმერთს მხოლოდ იმიტომ არ უყვარხართ, რომ თქვენ სწორად იქცევით, მანდ თქვენ უპირობოდ უყვარხართ და ეს სიყვარული თქვენზე საერთოდ არ არის დამოკიდებული. შეიძლება, მცდარი იდეები გქონდეთ და არეული იყოთ, მაგრამ ღმერთს მაინც უყვარხართ. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ, რომ ღმერთი კარგად გვექცევა ჩვენი კარგი საქციელის გამო და ცუდის გამო გვსჯის, ასე არ არის. რაც არ უნდა მოხდეს ჩვენს ცხოვრებაში, რაც არ უნდა არასწორი მოხდეს თუნდაც ეკლესიაში, გახსოვდეთ, რომ ღმერთს უყვარხართ და შეცდომები არ უნდა იყოს მიზეზი, რომ ღმერთს სიყვარულზე უარი უთხრა“, – განაცხადა პაპმა ფრანცისკემ.

რომის პაპის საშობაო მესას ათასობით კათოლიკე მორწმუნე დაესწრო, მილიონობით ადამიანი კი ტელეეკრანებიდან და ინტერნეტში ადევნებდა თვალს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8680; ევრო - 3.1754;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7092;
100 რუბლი - 4.6217; თურქული ლირა - 0.4821;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6889;
1000 სომხური დრამი - 5.9875.

ამინდი 26 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	–2,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+7,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge